

ზურაბ პაპასქირი

**შუა საუკუნეების საქართველოს
საერთაშორისო არენაზე**

*საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური
მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში*

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი – 1991

63.3(2□)
პ 182

ნაშრომში გაშუქებულია ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში. ნაჩვენებია საქართველოს სამეფოს როლი ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ მოვლენებში თურქ-სელჩუკთა შემოსევების პერიოდში.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **მარიამ ლორთქიფანიძე**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ რატიანი,
ისტორიის მეცნიერებათ კანდიდატი **ვახტანგ ქანია**

© გამომცემლობა „მეცნიერება“

0503020906
პ ----- რეზ. 91
M 607(06)–91

ISBN 5-511-00389-13

შ ე ს ა ვ ა ლ ი

XI-XII საუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთაშორისო არენაზე. მას მერე, რაც X-XI სს. მიჯნაზე ბაგრატ III ბაგრატიონის ჰეგემონობით მოხერხდა ძირითადი ქართული ქვეყნების – „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოების, კახეთ-ჰერეთის – ერთიან სამეფოში გაერთიანება, ძირფესვიანად შეიცვალა საქართველოს როლი და ადგილი საერთაშორისო ურთიერთობაში. ამიერიდან, დაქუცმაცებული ქართული პოლიტიკური ერთეულების ნაცვლად ისტორიის სარბიელზე გამოვიდა ერთიანი მძლიერი სამეფო, რომელმაც წარმოქმნის დღიდანვე განაცხადა სერიოზული პრეტენზია საერთო კავკასიის მასშტაბით ლიდერობაზე.

გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს წინაშე არაერთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა იდგა. ამათგან უმთავრესი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლა იყო. ქართველ მეფეთა ამ მისწრაფებას იმთავითვე წინ აღუდგა ბიზანტიის იმპერია, რო-

* ნიგნის ელექტრონული ვერსია იბეჭდება ზუსტად იმ სახით, როგორც ის გამოქვეყნდა 1991 წელს. ერთადერთი, რისი რედაქტირებაც აუცილებლად ჩავთვალეთ არის სამეცნიერო აპარატი. ამასთან, ის არ შევსებულია ახალი, უფრო გვიან გამოსული სპეციალური ლიტერატურით, უბრალოდ, მოხდა არსებულის მონესრიგება და სქოლიოს დახვეწა. რაც შეეხება ძირითად ტექსტს, მას არავითარი აზრობრივი ცვლილება არ განუცდია, ჩასწორდა მხოლოდ ნიგნის გამოცემისას გაპარული ზოგიერთი კორექტურული ხარვეზი (თუმცა არა ვართ დარწმუნებული, რომ ნაშრომის გადაბეჭდვისას არ გაჩნდა ახალი უზუსტობანი). გარდა ამისა, მოხდა უმნიშვნელო სტილისტური „ჩარევაც“ (მაგ. სიტყვა: „ფაქტიური“ შეიცვალა „ფაქტობრივი“-თ და ა.შ.). ელექტრონულ ვერსიაში ფრჩხილებში ნითელი ფერით მითითებულია 1991 წლის გამოცემის გვერდები. მაგ. {3} შემდეგ იწყება მომდევნო {4} გვერდი. ასევეა სქოლიოში.

მელიც ყველანაირად ცდილობდა, როგორმე შეენარჩუნებინა გარკვეული კონტროლი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და არ დაეშვა ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს სრული ჩამოცილება იმპერიისაგან. XI ს. 20-50-იან წლებში ჯერ გიორგი I-ის, ხოლო შემდეგ ბაგრატ-IV-ის ენერგიული ანტიბიზანტიური ქმედებების შედეგად, ამ მიმართულებით გარკვეული წინააღმდეგობები იქნა მოპოვებული მართალია, საქართველოს მეფე ძველებურად ატარებდა ბიზანტიურ (ამჯერად უფრო მაღალი ნოველისიმოსის და სევასტოსის) საკარისკაცო ტიტულებს, ეს მისი მხრიდან კონსტანტინეპოლის უზენაესობის მხოლოდ ფორმალური აღიარება იყო. ფაქტობრივად, არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რომ ბაგრატ IV ბიზანტიის იმპერატორის თანასწორუფლებიან პარტნიორად გადაიქცა და შორს არ იყო ის დროც, როდესაც საქართველოს სამეფო ბიზანტიის იმპერიისაგან სრულ (ე.ი. იურიდიულსაც) დამოუკიდებლობას მიაღწევდა, მაგრამ XI ს. 60-იანი წლებიდან საქართველოს ახალი გასაჭირი დაატყდა თავს: თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა უაღრესად დაამძიმა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა და ბიზანტიასთან ურთიერთობის საბოლოო მოგვარებისა და საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებლად გასვლის საკითხმა უკანა პლანზე გადავიდა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მისი ისტორიის ამ უაღრესად ძნელსა და ტრაგიკულ პერიოდში; გვეჩვენებინა ჩვენი ქვეყნის როლი აღმოსავლეთში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ მოვლენებში. {3}

**თავი I თურქ-სელჩუკთა შემოსევები და
საქართველოს სასელჩუკო
საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა
XI ს. 60-იან წლებში**

სელჩუკთა თურქული ტომების გამოჩენამ პოლიტიკურ არენაზე, როგორც ცნობილია, ძირეულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში. სელჩუკთა სასულთნოს სახით, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბდა ირანისა და სამხრეთ ამიერკავკასიის ფარგლებში XI ს. 40-60-იან წლებში, გაჩნდა უძლიერესი პოლიტიკური ერთეული, რომელიც პრაქტიკულად გაბატონდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა საერთაშორისო ცხოვრებაში.

სელჩუკებმა საქართველოს სამეფო კარის ყურადღება ამიერკავკასიაში გამოჩენისთანავე მიიპყრეს. ერთი ქართული წყაროს მიხედვით ბაგრატ კურაპალატი (ბაგრატ IV) სულთანს დასხმია თავს ჯერ კიდევ 1029 წელს¹, რაც მკვლევრებს რამდენადმე საეჭვოდ მიაჩნიათ.² ნ. შენგელიას აზრით აღნიშნულ წყაროში დაფიქსირებულ ქართველთა შეტაკებას სელჩუკთა მარბიელ რაზმებთან ადგილი უნდა ჰქონოდა მოგვიანებით, არაუადრეს 1032-1034 წლებისა.³ ამ დროიდან

¹ *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი *თ. ჟორდანიას* მიერ, I ტფ., 1892, გვ. 169.

² **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1968, გვ. 172-173.

³ **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 173. ზოგიერთი სომხური წყაროს (მათე ურჰაელი, ვარდანი) ცნობით, სელჩუკები ამიერკავკასიაში პირველად შემოიჭრნენ ჯერ კიდევ 1016 წელს, მაგრამ როგორც ამ ბოლო დროს დადგინდა, ეს სინამდვილეს არ შეეფერება და მათი პირველი შემოჭრა სომხეთში დათარიღებულია 1032-1034 წლებით. ამის შესახებ დაწვრილ იხ.: **С. Г. Агаджанов, К. Н. Юзбашян**. К истории тюркских набегов на Арме-

მოყოლებული სელჩუკები ანგარიშგასანეე ძალას წარმოადგენდნენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთათვის. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში, უკვე XI ს. 30-იან წლების II ნახევრიდან, ამიერკავკასიაში სელჩუკთა სამხედრო აქციები აშკარად {4} მიმართული იყო ბაგრატ IV-ის აქტიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა 1037-1038 წლებში, როდესაც სელჩუკებმა ხელი შეუშალეს საქართველოს მეფეს თბილისის დაკავებაში. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობით, „აფხაზთა მეფემ თბილისი გარემოიკვა, რადგანაც თბილისის მოსახლეობა არ დანებდა, გარემოიკვა გააძლიერეს და გააგრძელეს... თბილისის მოსახლეობამ აზერბაიჯანში კაცი გაგზავნა და მუსლიმანები დასახმარებლად მოიწვია... ქართველებს მათი შეეშინდათ, როგორც კი გაიგეს, რომ ოღუზები აზერბაიჯანს მოუახლოვდნენ და შეიტყვეს რა ჩაიდინეს მათ სომხებთან, ისინი თბილისიდან აიყარნენ და წავიდნენ“.¹

XI ს. 40-იანი წლებიდან სელჩუკთა მხრიდან საშიშროების საფრთხე კიდევ უფრო გამოიკვეთა. მათმა შემოსევებმა სომხეთსა და აზერბაიჯანში სულ უფრო სისტემური ხასიათი მიიღო. საქართველოს სახელმწიფოს მმართველი წრეები, ბუნებრივია, გულხელდაკრეფილი არ დაელოდნენ მოსალოდნელ საფრთხეს და მათაც გადადგეს სათანადო ნაბიჯები სელჩუკთა აგრესიის შესაჩერებლად. 1040-1041 წლებში ბაგრატ IV-ემ 4 ათასი მოლაშქრე დაახმარა დვინის ემირის აბულ-სოვარის წინააღმდეგ მეზობლ ტაშირ-ძორაკეთის მეფე დავით „უმინაწყლოს“ და გაამარჯვებინა მას.²

нию в XI в. – *Палестинский сборник*. Вып. 13. (76), 1965, გვ. 145-158; **ბ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 166-170. {4}

¹ **П. К. Жузе**. Материалы по истории Азербайджана из «Тарих ал-камил» Ибн ал-Асира. Баку, 1940, გვ. 147; **ბ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 174.

² **Р. М. Бартикян**. „Хронография“ Матфея Эдесского о Грузии и грузинах. – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები*. ეძღვნება აკად. **ს. ყაუხბ-**

XI ს. 40-იან წლებში სელჩუკებმა კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი მოქმედებები სომხეთის მიმართულებით და სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ბიზანტიელთა მფლობელობას ამ რეგიონში. კონსტანტინეპოლმა არ დააყოვნა საპასუხო ღონისძიებები და რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო სელჩუკთა წინააღმდეგ. საქართველოს სამეფო კარი, რომელიც ანტიბიზანტიურ პოლიტიკურ კურსს ატარებდა, თავდაპირველად არ იყო ჩაბმული ამ ბრძოლაში, მაგრამ მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც ბიზანტიელთა მოკავშირედ გამოდიოდა „ყოველს დიდს ლაშქრობაში, რომელიც კი ბერძნებს აღმოსავლეთში შემთხვევით“. ¹ ერთ-ერთ შეტაკებაში – 1048 წელს – სელჩუკებმა დაატყვევეს კიდევ ის. ლიპარიტის ტყვედ ჩავარდნამ დროებით შექმნა პირობები ბიზანტია საქართველოს ურთიერთობის ერთგვარი სტაბილიზაციისათვის. ბაგრატ IV-მ ამ დროს (1048 ან 1049)² მონაწილეობაც კი მიიღო ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ სელჩუკთა წინააღმდეგ მოწყობილ ერთ-ერთ ლაშქრობაში, რომლის {5} დროსაც მათ განძის ქვეყანა „დაარჩინეს“. ³

XI ს. 40-50-იანი წლების მიჯნაზე გახშირდა სელჩუკთა ლაშქრობები საქართველოს სამხრეთის მისადგომებთან. კერძოდ, ამ დროს მათ რამდენიმეჯერ დალაშქრეს იბერიის თემის – ბასილი კეისრის მიერ მიტაცებული იმიერტაოს – მინა-წყალი. მიხეილ ატალიატეს ცნობით. მათ „დიდი სიმძაფრით“ მოურბევიათ „მთელი იბერია“, გაუძარცვავთ ქალაქები და სოფ-

ჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს. თბ., 1978, გვ. 143; **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 176.

¹ **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია. წ. II – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II. თბ., 1983, გვ. 146; დაწვრილებით იხ. **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 179-196.

² **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975, გვ. 195. {5}

³ **მატიანე ქართლისა**. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 302.

ლები, მოუსპიათ „უდიდესი მხარეები და ქვეყანა უდაბური“ გაუხდიათ.¹ „იბერია“ – იმიერტაოში სელჩუკთა ლაშქრობების შესახებ ცნობებს გვანვდიან სხვა ბიზანტიელი და აგრეთვე სომეხი ისტორიკოსებიც,² რომლებიც ასევე აღნიშნავენ „იბერიის მდიდარი ქვეყნის“ დარბევასა და განადგურებას.³

„იბერიის“ თემი – ბიზანტიის მიერ საქართველოსთვის წართმეული ტერიტორია, მართალია, ქართველი (აგრეთვე სომხური) ტომებით იყო დასახლებული, მაგრამ ის ამ დროს უკვე არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და ამდენად, ამ მასალის გამოყენება უშუალოდ საქართველო-სელჩუკთა ურთიერთობასთან მიმართებით არასწორია. სამწუხაროდ, ისტორიოგრაფიაში ყოველთვის არ ითვალისწინებენ ამ გარემოებას და ბიზანტიის „იბერიას“ ხშირად საქართველოსთან აიგივებენ. თუ ამგვარი შეცდომა არაქართველი ისტორიკოსების (უმთავრესად ბიზანტოლოგთა) მხრიდან⁴ ადვილი ასახსნელია, – ყოველივე ეს სრულიად გაუგებარია ქართველ მეცნიერთა შრომებში. მხედველობაში გვაქვს ნ. შენგელიას სოლიდური გამოკვლევა საქართველო-სელჩუკების ურთიერთობაზე, სადაც, არაერთგზის, „იბერიაში“ სელჩუკთა ლაშქრობების შესახებ ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს მკვლევარი აზოგადებს საქართველოს სახელმწიფოზე. {6}

¹ **მიხეილ ატალიატე.** ისტორია. – *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებანი დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1966, გვ. 24.

² **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებანი დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1965, გვ. 82; **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა **ე. ცაგარეიშვილმა**. თბ., 1974, გვ. 80-90.

³ **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია, გვ. 82.

⁴ **Ф. И. Успенский.** История Византийской империи. III. М., 1948, გვ. 85-86. **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг. – *История Византии*, т. II. М., 1967, გვ. 270. {6}

მაგალითად, მოჰყავს რა გიორგი კედრენეს ცნობა სელჩუკთა წინააღმდეგ ბიზანტიელთა მიერ იბერიაში ჯარის გაგზავნის შესახებ, „სადაც (ე.ი. იბერიაში – **ზ.პ.**) მტრებად თვლიან არა მარტო რომაელთა მტრებს, არამედ თვით რომაელებსაც,¹ ნ. შენგელია აკეთებს დასკვნას (ამ ცნობის საფუძველზე), რომ „ბიზანტიელები მხარდაჭერას ვერ პოულობდნენ **საქართველოში**, რადგან ქართველებისათვის ისინი ისეთივე დამპყრობლები იყვნენ, როგორც სელჩუკები“,² ასევე არასწორადაა გაგებული გიორგი კედრენეს მეორე ცნობაც: „იბერიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა და განადგურდა“.³ ნ. შენგელიას მტკიცებით, „კედრენეს ამ ცნობაში ნათლად ჩანს სელჩუკთა შემოსევის შედეგად **საქართველოსა** და ამიერკავკასიის ქვეყნებში შექმნილი ვითარება“.⁴

ვიმეორებთ, გიორგი კედრენეს (ისევე, როგორც მიხეილ ატალიატესა და სხვა ბიზანტიელ ავტორთა) „იბერია“ ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიას, ეს არის ბიზანტიის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული და იქ მიმდინარე მოვლენები ვერ გამოდგება საკუთრივ საქართველოს სახელმწიფოში „შექმნილი ვითარების“ დასახასიათებლად, თუმცა, სავსებით ბუნებრივია, რომ „სელჩუკთა ასეთი გრანდიოზული ექსპედიციები **საქართველოს მეზობელ ქვეყნებში** არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ასახულიყო ქართულ სინამდვილეში“.⁵ უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, შეიძლება დაფუძვანთ ამ სამხედრო კამპანიის პერიოდში სელჩუკთა ცალკეული რაზმების შემოჭრა უშუალოდ საქართველოს სა-

¹ გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია, გვ. 79.

² ნ. შენგელია. სელჩუკები და..., გვ. 199. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)

³ გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია, გვ. 82.

⁴ ნ. შენგელია. სელჩუკები და..., გვ. 201. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)

⁵ ნ. შენგელია. სელჩუკები და..., გვ. 206. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)

მეფოს ტერიტორიებში, კერძოდ სამცხის რაიონებში.¹

ასევე სელჩუკებს მიაწერენ² „წარმართთა დიდი ლაშქრის“ მიერ {7} მანგლისის ხევში ბორცვის ჯვრის მამულის აოხრებას, რომელიც დაფიქსირებულია ბაგრატ IV-ის 1057 წელს შიო-მღვიმის ლავრისათვის გაცემული შეწირულობის სიგელში.³ მიუხედავად ამისა, XI ს. 50-იან წლებში სელჩუკები საქართველოს სახელმწიფოს უშუალოდ არ დამუქრებიან და ქვეყნის უშიშროებისათვის რაიმე საფრთხე არ შეუქმნიათ. პირიქით, ამ პერიოდში სელჩუკთა ფაქტორი, საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოსთვის ერთგვარად სასიკეთოდაც მოქმედებდა, რამდენადაც მან ხელი შეუწყო საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის მოგვარებას, ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გამწვავებული შინაპოლიტიკური

¹ ამ ჰოპოთეზის ავტორის თ. ჟორდანიას აზრით, ეს ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 1053 წელს ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში ყოფნის დროს. მოგვიანებით, 1055 წელს – წერს თ. ჟორდანია – „эта самая Месхийская область... была снова опустошена сельджукскими турками, приглашенными эриставом Иваном – сыном вышеупомянутого Липарита. იხ.: **Ф. Жордания.** К материалам по истории Грузии XI-XII вв. М., 1895, გვ. 7. იხ. აგრეთვე: **Б. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო... გვ. 200, 206-207.

² **Ф. Жордания.** К материалам по истории Грузии..., გვ. 7; **Б. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 207. {7}

³ **თ. ჟორდანია.** ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი ვაჰხანის ქვაბთა“. ტფ., 1896, გვ. 3-5; **Ф. Жордания.** К материалам, გვ. 3-18; **Е. С. Такаишвили.** Сигель Грузинского царя Баграта IV (1027-1072). – *Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического Общества* (ЗВОИРАО), т. IX, 1893 გვ. 59-68; *ქართული სამართლის ძეგლები*. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **ი. დოლიძემ**. თბ., 1966, გვ. 6-7; *Грузинские документы XI-XV вв. в собрании Ленинградского отделения Востоковедения АН СССР*. Перевод и комментарий **С. С. Какабадзе**. М., 1982, გვ. 32-34; *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, I, ქართული ისტორიის საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს **თ. ენუქიძემ, ვ. სილოვაჯამ, ნ. შოშიაშვილმა**. თბ., 1984, გვ. 35-36.

ვითარების სტაბილიზაციასაც. მხედველობაში გვაქვს ბაგრატ IV-ის მიერ ლიპარიტ ბაღვაშის საბოლოოდ დამარცხება, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება.

ასე რომ, XI ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს სამეფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით უფრო სტაბილური გახდა. ბიზანტიის სახელმწიფოს მესვეურთათვის ნათელი შეიქმნა, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვა საქართველოსა და სომხეთის მიმართ მათ მიერ გატარებულ წინდაუხედავ ღონისძიებებს იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების დაცვის საქმეში.¹ ამიტომ კონსტანტინოპოლი იძულებული შეიქმნა ხელი აეღო აგრესიულ ზრახვებზე საქართველოს მიმართ და მათთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინა. თუ ადრე თავისი იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი ბიზანტიის ხელისუფლება დაინტერესებული იყო საქართველოს ერთიანობის მოშლით და ყოველმხრივ აღვივებდა აქ სეპარატისტულ განწყობილებებს, რაც განსაკუთრებით ლიპარიტ ბაღვაშისადმი მის აქტიურ მხარდაჭერაში გამოიხატა, ახლა, მოზღვავებული მუსლიმური სტიქიის წინაშე იმპერია პრაქტიკულად მართო აღმოჩნდა და სხვა გზა არ ჰქონდა **{8}** გარდა ქრისტიანულ საქართველოსთან კავშირის განმტკიცებისა.

ამრიგად, საქართველოს კვლავ უნდა შეესრულებინა ერთგვარი ბუფერის როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთჭიდილში. სწორედ ამან განაპირობა ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლა ბაგრატ IV-ისადმი და ფაქტობრივად მისი ცნობა ქართული სახელმწიფოს მეთაურად.² ყოველივე ამის შედეგად, XI ს. 60-იანი წლე-

¹ **Ф. И. Успенский.** История Византийской империи, III, гл. 53. **{8}**

² ამის შესახებ დაწვრილებით იხ. **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 203-210.

ბის დამდეგიდან საქართველოს საგარეო-პოლიტიკურმა აქციებმა მნიშვნელოვნად აინია და ის კვლავ იქცა უმთავრეს პოლიტიკურ ძალად ამიერკავკასიაში. ამასთან, სწორედ საქართველომ იტვირთა სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის მესვეურობა კავკასიაში. ამ დროიდან, ბაგრატ IV-ის ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯი მიმართული იყო სელჩუკთა წინააღმდეგ, რასაც კარგად გრძნობდნენ სულთნის კარზე და სათანადო ზომებსაც იღებდნენ საქართველოს მეფის ამგვარი აქტიურობის აღსაკვეთად.

პირველად ეს ნათლად გამოჩნდა 1062 წელს, როდესაც ბაგრატ IV-ემ, უკვე მერამდენედ, დაიკავა თბილისი. „454 (1062) წელს – წერს არაბი ავტორი ალ-ფაკიჰი – განძის მბრძანებელ აბულ-ასვართან მოვიდა თბილისის საპატიო მოქალაქეთა ჯგუფი და სთხოვეს, ვინმე გამოგვიგზავნე, რომ ქალაქის ციხე ჩავაბაროთ, ქალაქის პატრონი ჯაფარ იზნ-ალი მოკვდა და ორი ვაჟიშვილი დარჩა – მანსური და აბულ-ჰეიჯა, რომელთა შორის მტრობა ჩამოვარდა ციხეში ბატონობის თაობაზე... მცხოვრებლებმა ორივე განდევნეს ქალაქიდან და თბილისი მთლიანად მოქალაქეთა წარმომადგენლების ხელში გადავიდა. აბულ-ასვარს სურდა ამ წინადადების მიღება, მაგრამ... თავი შეიკავა ამ წინადადებაზე პასუხის გაცემისაგან და დაუბრუნა მათ კლიტენი ციხისა. ისინი (თბილისელები) მობრუნდნენ და ეს კლიტე და ციხე გადასცეს აღსართან გაგიკის ძეს, შაქის მფლობელს, რომელმაც მიიღო იგი, მისცა მათ ძვირფასი საჩუქრები და გაუშვა ისინი. შემდეგ მან მიყიდა ის (თბილისი) დიდი თანხის ფასად რუმის (იგულისხმება საქართველოს)¹ მფლობელს და რუმის მეფემ დაუყოვნებლივ გაგზავნა იქ შიჰნა და მოამარაგა ის ლაშქრით, იარაღით და

¹ რ. კიკნაძე. XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით). – *ისტორიის ინსტიტუტის შრომები*. V, ნაკვ. I. თბ., 1960, გვ. 114; შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. – წგნ.: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ., 1982, გვ. 240. {9}

სურსათ-სანოვაგით. მან გასცა ბრძანება, გაეფართოვებინათ გზები მთებში, რათა გაადვილებოდათ {9} ურწმუნოებს იქიდან გადასვლა ისლამის ქვეყნებში“.¹

აღნიშნულ ცნობაში მოცემული ინფორმაცია მრავალმხრივ არის საინტერესო. მკვლევართა ყურადღება მან განსაკუთრებით მიიპყრო XI ს. თბილისში საქალაქო თვითმმართველობის (კომუნის) არსებობის საკითხთან დაკავშირებით.² შ. მესხიას საფუძვლიანი მოსაზრებით ალ-ფაკიჰის მიერ მოტანილი მასალა ადასტურებს თბილისის ჯაფარიდ მფლობელსა და მის მოსახლეობას შორის მიმდინარე შეურიგებელი ბრძოლის ფაქტს.³ ეს იყო გაგრძელება იმ ბრძოლისა, რომელიც „თბილისის ხალხმა“ წამოიწყო ჯაფარიდების ხელისუფლების წინააღმდეგ ჯერ კიდევ XI ს. 30-იან წლებში. ამ ბრძოლაში „თბილელთა“ კონტრაგენტი ბაგრატ IV იყო, რომელიც რამდენიმეჯერ (1037, 1045-46 წლებსა და 1048-1051 წლებში)⁴ „ტფილელ ბერთა“ – „ქალაქის უხუცესთა“⁵ – მონვევით დაეუფლა კიდევ ქალაქს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება.

1062 წელს ქ. თბილისი კვლავ აჯანყებულა ჯაფარიდი ამირების წინააღმდეგ, მაგრამ, რატომღაც, ამჯერად მათ

¹ რ. კვიციანი. XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან..., გვ. 113-114; შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 240; პ. რატიანი. თბილელი ბერები. თბ., 1989, გვ. 14.

² ამის შესახებ დანვრილებით იხ. შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში..., გვ. 199-323; III. А. Месхия. К вопросу о характере социальной борьбы и городского строя средневекового Тбилиси – Проблемы общественной и истории России и славянских стран. Сб. статей к 70-летию академика М. Н. Тухомирова. М., 1963.

³ შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 241.

⁴ შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 241.

⁵ ამ უკანასკნელ ხანს პ. რატიანმა წარმოადგინა განსხვავებული თვალსაზრისი „ტფილელ ბერთა“ ვინაობისა და საერთოდ, თბილისში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის საკითხებზე, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება შ. მესხიას დასკვნას ამ პრობლემაზე. იხ. პ. რატიანი. თბილელი ბერები...

ბაგრატი IV არ მოუნვევიათ. რითი უნდა იხსნას ეს? დასკვნა იმის შესახებ, რომ „ტფილელ ბერებს“ ბაგრატი IV-ზე იმედი გაუცრუვდათ, რადგან მას დიდგვაროვანთა წინააღმდეგობის გამო, თბილისში გამაგრება არ შეეძლო“,¹ დამაჯერებელი არ ჩანს. თბილისის მესვეურთ არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ ბაგრატი IV-ს, ამ დროისათვის, ფეოდალური ოპოზიცია დათრგუნვილი ჰყავდა და ქვეყნის საქმეებს ერთპიროვნულად უძღვებოდა. ამიტომ ჩვენ უფრო დასაშვებად მიგვაჩნია ის, რომ „თბილელ კეთილშობილთა ჯგუფისათვის“, ამ შემთხვევაში თავიანთი ძველი „მოკავშირე“ ბაგრატი IV მიუღებელი იყო.

მათ, შესაძლოა, ეეჭვებოდათ, რომ გაძლიერებული საქართველოს მეფე ძველ პირობებს დასჯერდებოდა და შეუნარჩუნებდა „უხუცესებს“ დამოუკიდებლობას საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობაში. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მათ მიმართეს საქართველოს სამეფოს მონინააღმდეგე ძალებს – ჯერ აბულ-ასვარს, ხოლო შემდეგ კახთა მეფე აღსართანს. არაა გამორიცხული, რომ მათ ეს გააკეთეს „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის შიშითაც, რომელიც, ამ დროისათვის, როგორც უკვე ავლნიშნეთ, საკმაოდ მომძლავრდა და კვლავ განაახლა ზრუნვა სრულიად საქართველოს გაერთიანებისათვის. როგორც ჩანს, ბაგრატი IV-სთან ურთიერთობის გამწვავებას უნდა მორიდებოდნენ აბულ-ასვარიცა და აღსართანიც, როდესაც მათ უარი თქვეს თბილისის დაკავებაზე.²

საქართველოს მეფის მიერ თბილისის დაკავებამ,³ ეტ-

¹ შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების, გვ. 239. {10}

² შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 241; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 168.

³ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა პირობებით დაეუფლა თბილისს ბაგრატი IV. ეყრდნობა რა მუნეჯიმ-ბაშიც ცნობას, რ. კიკნაძე თვლის, რომ ქ. თბილისი ბაგრატი მეფეს საკუთრებად არ დაუჭერია, მან ჯაფარის შვი-

ყოფა, არც თუ ისე უსაფუძვლოდ, მუსლიმური სამყაროს შემოფოთება გამოიწვია. ბაგრატ IV-ის მიერ თბილისში გატარებულ ღონისძიებებში, რომელსაც ხაზგასმით აღნიშნავს ალფაკიპი („გაცა ბრძანება გაეფართოვებინათ გზები მთებში, რათა გადავიღებოდათ ურწმუნოებს იქიდან გადასვლა ისლამის ქვეყნებში“). სელჩუკთა მმართველ წრეებს, სავსებით რეალურად, შეეძლოთ დაენახათ საქართველოს მეფის მხრიდან ახალი სამხედრო აქციების განხორციელებისათვის თადარიგის დაჭერა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროიდან, ამიერკავკასიაში გაბატონების გზაზე სელჩუკების მთავარ მეტოქედ სწორედ საქართველოს სახელმწიფო იქცა. ამან კი საქართველო სელჩუკების ომი გარდაუვალი გახადა.

1064 წელს¹ სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა მოაწყო პირველი დიდი ლაშქრობა საქართველოში, რომლის დროსაც მან მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი ოლქის დარბევა („შემუსრა კარგანი და თრიალეთი... გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე. და მასვე უამსა ჩამოუნია თორს და ლკვის-წევს, და თვით დადგა თრიალეთს სამ დღე“) და ახალქალაქის აღება მოახერხა.³ მიუხედავად ქართველთა გმირული შემართებისა („მესხნი აზნაურნი და ზემორე კერძისანი ძლიერად დგეს“),⁴ სელ-

ლები შემოირიგა და დასვა ისინი ქალაქის გამგებლად (რ. კიკნაძე. XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან..., გვ. 114). შ. მესხიას დასკვნით კი, „თბილისის მემამულე“ ჯაფარიდების წარმომადგენლის ხელისუფლება აღსდგა 1065 წელს ალფ-არსლანის შემოსევის შედეგად (შ. მესხია. საქალაქო კომუნა., გვ. 242-243). იგივე აზრია განვითარებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომშიც (მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება., გვ. 168).

¹ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო., გვ. 226. {11}

² მატიაზე ქართლისა, გვ. 306.

³ ამ ლაშქრობის შესახებ დანვრილებით იხ. ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო., გვ. 219-225.

⁴ მატიაზე ქართლისა, გვ. 306.

ჩუკებმა შეძლეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა და ახალქალაქის ციხის დაკავება, ალფ-არსლანს ურიცხვი ტყვე უგდია ხელთ, რომელთა შორის ბევრი წარჩინებულიც ყოფილა¹ და სელჩუკთა პირველი ლაშქრობაც ამით დასრულებულა.

როგორც ჩანს, სულთანი დააფრთხო განუელმა წინააღმდეგობამ და მან ამჯერად საქართველოს დაპყრობაზე ხელი აიღო.² უფრო მეტიც ალფ-არსლანმა საქართველოს მეფესთან საერთო ენის გამონახვა და დამოყვრება არჩია... „აჰკიდა მზახობა და სთხოვა დისნული ცოლად“.³ მართალია, ზოგიერთი აღმოსავლური წყარო დაბეჯითებით მიუთითებს, რომ სულთანმა ქართველთა მეფეს მოსთხოვა ან ისლამის მიღება ან კიდევ ჯიზიაზე დათანხმება, რომლის გადახდა თითქოსდა იკისრა კიდევ ბაგრატ IV-მ,⁴ მაგრამ მოვლენების შემდგომი {12} განვითარება სრულიად არ ადასტურებს სა-

¹ ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით ერთ-ერთ ასეთ წარჩინებულს – ბეშთეგინს (ბეშქენი) – მუსლიმანობა მიუღია და ალფ-არსლანს მისთვის ქალაქი ვერავი უბოძებია (*ისტახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი*. თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ **ვ. ფუთურიძისა**. თბ., 1937, გვ. 27; **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 165). მკვლევართა აზრით სწორედ ამ ბეშთეგინ-ბეშქენიდან უნდა იღებდეს სათავეს ჩრდილოეთ ირანში ერთ-ერთი ოლქის ამირთა ბეშქენიანთა ქართული დინასტია. ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **И. П. Петрушевский**. Бешкениды-Пиштегиниды, грузинские мелики Ахара в XII – начале XIII в. – *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*. თბ., 1937, ნაკვ. VII, გვ. 587-592; **პ. თოფურია**. მასალები ბეშქენიანთა ქართული დინასტიის ისტორიისათვის. – *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*. თბ., 1963, გვ. 113-133; **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 163-184.

² **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 198.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 306-307.

⁴ **ნ. შენგელია**. სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. – *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*. ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ნ. ბერძენიშვილის** დაბადების 80 წლისთავს). თბ., 1976, გვ. 190; **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 225-226. {12}

ქართველოს მეფის მიერ რაიმე ვალდებულების შესრულებას სელჩუკთა სულთნის სასარგებლოდ. რაც შეეხება თავისი დისნულის გათხოვებას სულთანზე, ეს უფრო ბაგრატ IV-ის მიერ გადადგმულ მარჯვე დიპლომატიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს და არა იძულებით აქტად, როგორც ამას აღნიშნავს XIII ს. ავტორი ალ-ბონდარი.¹ ის კი არადა, სიტუაცია, რომელშიც მოხვდა სულთანისთვის ბაგრატ IV-ის დისნულის მიტხოვება, აშკარად მოწმობს საქართველოს მეფის საგარეო-პოლიტიკურ პოტენციალზე, მის მზარდ პოლიტიკურ ავტორიტეტზე ამიერკავკასიის მასშტაბით. რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას.

ბაგრატ IV-ის დისნული,² რომელსაც საქართველოს მეფე ცოლად დაჰპირდა ალფ-არსლანს, ამავე დროს, ტაშირ-ძორაკეტის მეფე კვირიკე I-ის ძმისნული იყო: „ხოლო დისნული ბაგრატისი, რომელსაც ითხოვდა სულტანი, იყო ძმისნული სომეხთა მეფისა კვირიკესი, სთხოვა ბაგრატ და არ მისცა სომეხთა მეფემან. მიუგ ზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალი ერისთავი ვარაზბაკურ გამრეკელი, იბირნა კაცნი სომეხთა

¹ **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 226.

² ალ-ბონდარის ცნობით, ალფ-არსლანმა „აფხაზთა მელიქი ბაგრატ გიორგის ძე აიძულა ზავის ჩამოსაგდებად მასთან **თავისი ქალიშვილი** დაექორწინებინა“ (**ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 226, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) მაგრამ მეორე არაბი ავტორი ბარ-ჰებრაი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სულთან ალფ-არსლანთან დასაქორწინებლად მოყვანილ იქნა სწორედ „ქართველთა მბრძანებლის ბაგრატის დისნული“ (**ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 226.). სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი, რომელიც ასევე ეხება ამ საკითხს, შენიშნავს, რომ ალფ-არსლანი დაქორწინდა კვირიკე სომეხთა მეფის ასულზე და არა ძმისნულზე და რომ ამ საქმეში ბაგრატ IV საერთოდ არ მონაწილეობდა (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. ტ. II. გვ. 152-153; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 226.). ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობითაც, ალფ-არსლანს ცოლად შეურთავს სომხეთის მეფის ასული (**ისტახრი ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი.**, გვ. 27; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. ტ. 11. გვ. 153; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 226). **{13}**

მეფისნაცვალი და სამშკლდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვრიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ქალასა, და აცნობეს ბაგრატს და წარვიდა ქვახვურელთათ მსწრაფლ, და მოგუარნეს პყრობილნი კლდეკართა ქუეშე. სთხოვა სამშკლდე და არა მისცეს, რამეთუ ერთი ძმა მათი ადარნესე შესრულ იყო სამშკლდეს, ხოლო მიიყვანეს სამშკლდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვრიკე სამ დღე; ითხოვეს მშკდობა და მისცეს სამშკლდე. ხოლო მოსრულ იყვნეს ორნი ერისთავნი სომეხთა მეფისანი: ლუკიის ერისთავი და კაქვაქარისა. აძლევდა და მისცემდა სამთა ციხეთა სუმბატ, ძმა კვრიკესი: ოფრეთს და კოშქსა და ვარზაქარსა. ხოლო შეენყალნეს ბაგრატ მეფესა: მისცნა და უთავისუფლნა ყოველი ციხე თვნიერ სამშკლდისა; და არც სხუანი ციხეთა-**{13}**უფალნი, კაცნი დიდებულნი, შემოუშვნა, არამედ სამშკლდე ოდენ იურვა სახლად თვსად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი... ხოლო შემდგომად ამისსა გაათხოვა დისწული თვსი და შერთო სპარსთა მეფესა სულტანსა“.¹

როგორც ვხედავთ ბაგრატ IV-მ არათუ მოახერხა სულთნისათვის მიცემული დაპირების შესრულება, არამედ მან საბაბადაც კი გამოიყენა ეს ტაშირ-ძორაკეტში შესაჭრელად, „დაიპყრო სამშვილდე“, „იურვა სახლად თვისად“ და დაიმორჩილა ტაშირ-ძორაკეტის მოსახლეობა („მონებდეს სომეხნი“). ეს იყო კიდევ ერთი წინგადაგდმული ნაბიჯი სომეხთა მიერ მიტაცებული ქვემო ქართლის – ხუნან-სამშვილდის ქართული საერისთავოების ძველისძველი მიწების დასაბრუნებლად,² იმ მიწა-წყლისა, რომელთა „გამოხსნის საკითხი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეებისათვის მეტად მწვავე და დიდად საზრუნავ საქმეს წარმოადგენდა“ X ს. – XII ს. I მეოთხედში.³

გარდა იმისა, რომ ტაშირ-ძორაკეტის სამეფოზე ხელის დადება თავისთავად მონმობდა „აფხაზთა“ და „ქართველთა“

¹ მატეიანე ქართლისა. გვ. 307-308.

² თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო. თბ., 1982, გვ. 247.

³ თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 247.

მეფის პოზიციების განმტკიცებას ამ რეგიონში, ეს აქცია სელჩუკთა სულთნის თვალში საქართველოს სამეფოს სამხედრო ძლიერების ერთგვარ დემონსტრაციადაც უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც არ შეიძლებოდა არ ჩაეფიქრებინა სელჩუკთა მმართველი წრეები. იქნებ ამის საპასუხო რეაქციად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა თბილისში 1065 წელს და იქ „თბილისის მემამულე“ ჯაფარიდი ამირას ხელისუფლების აღდგენა, რომელიც უდაოდ ალფ-არსლანის შემწეობით უნდა მომხდარიყო.¹ ეტყობა, ბაგრატ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის შემდგომში „ექსპანსიის“ აღკვეთას ისახავდა მიზნად აბულ-ასვარის ლაშქრობა საქართველოში,² იმ აბულ-ასვარისა, რომელსაც სელჩუკთა სულთნისაგან ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებზე მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული.³

მკვლევართა აზრით, ამას ბაგრატ IV-მ ბარდავს ლაშქრობით უპასუხა.⁴ „460 წელს (1067-1068 წწ.) – წერს სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინი, აფხაზთა მეფე ბაგრატი ბარდავს შეესია და იავარჰყო“.⁵ ბარდას, როგორც {14} „მუსლიმთა ერთ-ერთ ქვეყანათაგანს“ ხელს ადებდა სელჩუკთა სულთანი და ის, რასაკვირველია, ვერ მოითმენდა საქართველოს მეფის ამ გამობტომას, ამიტომ მან „თავისი მტკიცე სურვილის მიხედვით გადაწყვიტა მოეწყო აფხაზთა ქვეყანაზე გალაშქრება“.⁶ ეს იყო სელჩუკთა მეორე მოსვლა საქართველოში.

ამრიგად, 1064-1068 წლებში – საქართველოში სელჩუკთა პირველ და მეორე ლაშქრობას შორის პერიოდში, ბაგრატ

¹ შ. მესხია. საქალაქო კომუნა., გვ. 241-242.

² რ. კიკნაძე. XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან., გვ. 115.

³ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო., გვ. 237.

⁴ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო., გვ. 237.

⁵ ნ. შენგელია. სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, გვ. 192;

⁶ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო., გვ. 238. {14}

⁶ ნ. შენგელია. სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, გვ. 192.

IV სულაც არ „ცდილობდა გარკვეულ კომპრომისებზე“ წასვლით „კარზე მომდგარი მტრისაგან ქვეყნის აოხრება და განადგურება თავიდან აეცდინა“, როგორც ამას ასკვნის ნ. შენგელია. პირიქით, საქართველოს მეფე, ამ პერიოდში, სელჩუკების მიმართ აშკარა კონფრონტაციას არ ერიდებოდა და თავგამოდებით ზრუნავდა თავისი პოზიციების გამაგრებისათვის ამიერკავკასიაში. ამაზე მეტყველებს, თუნდაც ისიც, რომ სწორედ ალფ-არსლანის საქართველოში მეორედ შემოსვლის წინ ბაგრატ IV-მ გადადგა ენერგიული ნაბიჯები კახეთ-ჰერეთის შემოსამტკიცებლად: „*მას ჟამსა... იყო ბაგრატ გალაშქრებული აღებად კახეთისა... და უამბეს შემოსვლა სულტანისა და დაყრა ციხეთა, შემოიქცა სწრაფით და მოვიდა ქვეყანად თვსად ქართლად*“.¹

სელჩუკებმა კახეთის მეფე აღსართან გაგიკის ძე, როგორც იტყვიან „სულზე მიუსწრეს“. ამ უკანასკნელს ზოგიერთი „*მის ქუეყანასა*“ (იგულისხმება ჰერეთი – **ზ.პ.**) დიდებულნი განუდგა და ბაგრატ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეს მიემხრო. აღსართანმა და მისმა ერთგულმა დიდებულებმა „*დაყარნეს ციხენი... და ივლოტეს კავკასიად*“. ბაგრატ მეფეს ის ის იყო უნდა აელო კახეთი: „*ლაშქარნი მისნი წინა გაგზავნილი იყო ვეყინის ერისთავსა თანა წირქუალელსა*“, როცა შეიტყო სულტანის „უგრძეულად“ ჰერეთს მოსვლის ამბავი.² სელჩუკთა ასე ოპერატიული გამოჩენა, შესაძლებელია, კახეთის მეფის აღსართანის ინიციატივითაც მოხდა.

მართალია, წყაროები პირდაპირ არაფერს ამბობენ ამის თაობაზე, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ კრიტიკულ სიტუაციაში აღსართანმა უხმო სელჩუკთა სულთანს. საინტერესოა, რომ წყაროები მაინც და მაინც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სელჩუკები ჰერეთში უმეტესად ბაგრატ IV-ის მომხრეებს ებრძოდნენ. „შექს გარს ერტყა მუხნარი და ცყიანი ადგილები, – ვკითხულობთ არაბულ წყაროებში, –

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 308.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 308.

რომელზედაც ურუმთა და აფხაზთა ყაჩაღები და ქურდები იმალებოდნენ. სულთანმა მენავთეებს უბრძანა, რათა ეს ჭაობიანი და ჭოჭი ადგილები გადაეწვათ“.¹ აღსართან კახთა მეფე ეახლა სულთანს, „მიუძღუე {15} ანა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცვათ წინა, აღუთქუა ხარაჯა“.²

როგორც ვხედავთ, ბაგრატ მეფესთან მორიგებას აღსართანმა სულთნის ვასალობა არჩია.³ სულთანმა დაუფასა კიდევ ერთგულება „და მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი... მასვე: და რომელნი აფხაზთა მეფის კაცთა დაეყარნეს, და რომელნი თვთ აღსართანისა, მისცა ყოველნი და შემდგომად სამისა კვრისა წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა“.⁴ სულთნის ჯარში სხვებთან ერთად იყვნენ კახთა მეფე აღსართანი, ტაშირ-ძორაკეტის მეფე კვირიკე, აგრეთვე თბილისის ამირა, ე.ი. ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მუდამ კრიჭაში ედგნენ ბაგრატ IV-ს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად ბრძოლაში. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ერთადერთ რეალურ ძალას, რომელიც აშკარად უპირისპირდებოდა თურქ-სელჩუკებს ამიერკავკასიაში, საქართველოს სამეფო წარმოადგენდა, და რომ ბიზანტიის შემდეგ სწორედ ერთიანი ქართული სახელმწიფო იყო სელჩუკთა მთავარი მოწინააღმდეგე ახლო აღმოსავლეთში. ამიტომ იყო, რომ ალფ-არსლანმა გადაწყვიტა ბაგრატ IV-ის სამაგალითოდ დასჯა და მისი ერთხელ და სამუდამოდ გზიდან ჩამოშორება.

ის „გაემართა აფხაზთა მეფე ბაგრატის წინააღმდეგ, –

¹ **ნ. შენგელია.** სადრ ად-დინ ჰუსეინი..., გვ. 192; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 238. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). {15}

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 309; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 239.

³ **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 239.

⁴ *მატიანე ქართლისა*, გვ. 309. აღსართანის დიდი პატივით მიღებას სულთნის მიერ დანვრილებით აღწერენ აღმოსავლური წყაროებიც. იხ.: **ნ. შენგელია.** სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის..., გვ. 193. **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 239-240.

ნერს სადრ ად-დინ ჰუსეინი, – და თავის ჯარებს მისცა (სრული) თავისუფლება ამ ვილაიეთებში, რომ ეთხოვათ და გაენადგურებინათ“.¹ სულთნის მარბიელმა რაზმებმა ექვსი კვირის განმავლობაში მთლიანად მოაოხრეს ქართლი: „და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხწრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლისა მძორისათა არღარა დაედგომოდეს ქუეყანასა თუალნი“...² ქართლის აოხრების შემდეგ სულთნის ლაშქარი არგვეთს გადავიდა და დაარბია ქვეყანა ვიდრე სუერის ციხემდე.³ ბაგრატ IV-ემ ვერ შეძლო ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა და იძულებული გახდა ზავის სათხოვნელად ივანე ლიპარიტის ძე მიეგზავნა ალფ-არსლანთან. ამ უკანასკნელმა „შეაქცია იგი {16} აფხაზეთად ბაგრატისა, სთხოვა ხარაჯა და უქადა მშკდობა. ხოლო სიფიცხლისაგან ვერღარა მოილოდინა და წარვიდა ქართლით“.⁴

ზოგიერთი აღმოსავლური წყაროს მიხედვით, სულთნის საქართველოდან ნაჩქარევად წასვლა მკაცრ ზამთარს კი არ გამოუწვევია, არამედ თურქთა ხაკანის სიკვდილის შესახებ ცნობის მიღებას.⁵ ასე იყო თუ ისე, მოლაპარაკება ფაქტობრივად ჩაიშალა და ბაგრატ IV-ემ ამჯერადაც შეძლო თურქთა ხარაჯის თავიდან აცილება. მიუხედავად ამისა, სელჩუკთა ამ ლაშქრობას უაღრესად მძიმე შედეგები ჰქონდა საქართველოსათვის. გარდა იმისა, რომ აოხრდა ქართლი, ალფ-არსლანმა თბილისიც მიიტაცა და ამით საკმაოდ მყარად „ჩადგა ფეხი“ ამიერკავკასიის შუაგულში: „და ჩამავალმან წარულო ტფილისი და რუსთავი, და მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა“.⁶

¹ **ნ. შენგელია.** სადრ ად-დინ ჰუსეინი..., გვ. 193.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 309.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 309; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ნ. II. გვ. 154. {16}

⁴ *მატიანე ქართლისა*, გვ. 309-310.

⁵ **ნ. შენგელია.** სადრ ად-დინ ჰუსეინი..., გვ. 194; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 242.

⁶ *მატიანე ქართლისა*, გვ. 310.

ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად მიიპყრო ყურადღება იმ ფაქტმა, რომ სულთანმა თბილისი და რუსთავი ადგილობრივ ამირებს კი არ დაუტოვა, არამედ გადასცა ფადლონს.¹ მკვლევართა აზრით, ალფ-არსლანმა ეს გააკეთა არა იმიტომ, რომ ის არ ენდობოდა თბილისისა და რუსთავის ამირებს, პირიქით ისინი, როგორც „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი წერს, „დადგომილ იყვნეს კარსა მისსა ზედა“² და სულთნის კეთილისმყოფელი მსახურნი იყვნენ,³ მაგრამ ალფ-არსლანს „ფადლონი უფრო საიმედო და ძლიერ გამგებლად“ მიაჩნდა. მისი აზრით, განძის პატრონი „საქართველოს პროვინციების დასამორჩილებლად და მეთვალყურეობის გამწვავად უფრო აქტიური და ძლიერი იქნებოდა, ვიდრე თბილისისა და რუსთავის ამირები“.⁴

ფადლონისათვის თბილისის გადაცემით სულთანმა ბაგრატ IV-ს ახალი, ძლიერი მეტოქე დაუპირისპირა და ამით კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია ამიერკავკასიაში. საქართველოს მეფე, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა თავისი პოზიციების დათმობას აღმოსავლეთ საქართველოში და არ მისცემდა ფადლონს თბილისსა და {17} მის შემოგარენში თავისუფლად პარპაშის უფლებას. ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, საკმაოდ შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა, მას არა მარტო დაუწყია „ამპარტავნება“ და „ურჯუება“,⁵ არამედ თბილისში მყარად დაფუძნება განუზრახავს. ამაზე მეტყველებს მის მიერ გადადგმული ნაბიჯები თბილისში ხელოსნური წარმოების გამოცოცხლებისათვის („და

¹ რ. კიკნაძე. XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან.., გვ. 117; შ. მესხია. საქალაქო კომუნა.., გვ. 242-243; ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო.., გვ. 244; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება.., გვ. 200.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 310.

³ შ. მესხია. საქალაქო კომუნა.., გვ. 242.

⁴ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო.., გვ. 244. {17}

⁵ *მატიანე ქართლისა*, გვ. 310.

სიახლესა სადა სადმე გამოყვანებასა ჯელოსანთასა“).¹ როგორც ცნობილია, განძა ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი იყო ამიერკავკასიაში, ამდენად სავსებით გასაგები ხდებოდა ფადლონის ზრახვები.²

ბაგრატ IV-მ სწორად განჭვრიტა მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობა და უმალ დაიწყო ზრუნვა ფადლონის „ამპარტავენების“ ასალაგმავად. „და ვითარცა იქმნა გაზაფხული, გარდამოვიდა მეფე ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა სადგომი არს ადგილი იგი“.³ გათამამებულმა ფადლონმა „არად შერაცხა დიდგორთა დგომა მეფისა, წამოემართა ლაშქრითა, ოცდაცამეტი ათასითა კაციითა, მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისასა, ხოლო დაუტევნა კარავნი და მოვლო ლამე ყოველ მუხრანისა, და არბივნა ქართლისა ნაპირნი“.⁴ ბაგრატ IV-მ სასწრაფო ზომები მიიღო. მან ქართველი დიდაზნაურები გაგზავნა „რჩეულითა ლაშქრითა“ ფადლონის წინააღმდეგ, რომელნიც „წილკნის გორთა თანა... შეეზნეს და პირველსავე წრმლისა მოკიდებასა გააქციეს ფადლონი... და სდევნა ლაშქარმან ბაგრატი სამან ვიდრე მთამდე ხერკისა. მოსრეს და ტყუე ყვეს ლაშქარი ფადლონისი“. თვით განძის პატრონმა მაინც შეძლო მდევრისგან თავის დაღწევა და თხუთმეტიოდე ცხენოსნით „წარვლო გზა წილკნისა, და მიეხვა პირსა არაგვსასა და გაჰდა ნარლუეთა გზით ერწოდ“.⁵

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 310.

² **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 196.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 310.

⁴ *მატიანე ქართლისა*, გვ. 310.

⁵ *მატიანე ქართლისა*, გვ. 310-311; ცნობას ამ ბრძოლის შესახებ იძლევა „თარიხ ალ-ბაბვის“ ავტორიც: „როდესაც მუსლიმანთ ხელები სავსე იყო ნადავლით, აფხაზთა დაიჭირეს გადასასვლელები და შეებრძოლნენ მათ. მუსლიმანები დამარცხდნენ და გაიქცნენ, მხოლოდ ფადლი დარჩა მამაკაცთა მცირე ჯგუფთან ერთად. ისიც იძულებული იყო გაქცეულიყო. მას შემდეგ, რაც მისი ხალხი დაიხოცა“. **В. Ф. Миронский**. История Ширвана и Дербенда. М., 1963, გვ.

ფადლონს, ეტყობა, **{18}** აღსართან კახთა მეფის იმედი ჰქონდა და მისი მეშვეობით ფიქრობდა ბაგრატიანთაგან თავის დახსნას. გზაში ის ამაოდ ცდილობდა თავისი ვინაობის დამალვას. „*ფადლონის მოციქული ვარ და მახარობლად მივალ აღსართის თანა; აფხაზთა მეფისა ლაშქარი გაეაქციეთ*“-ო ეუბნებოდა შემხვედრთ, მაგრამ ის მაინც შეიცნეს და „*ჟალეთის ისაკ ტოლობელის ძესა, აზნაურსა მესხსა*“ მიჰგვარეს.¹ ამ უკანასკნელმა კი „*არა იწენა... მკვდრობა აფხაზთა მეფისა*“ და იმის მაგივრად, რომ „*აფხაზთა მეფისაგან გაქცეულიყო ფადლონ შეეპყრა და შეგუარა ბოჭორმას ბაგრატიანთს... მსწრაფლ წარიყვანა და მიჰგუარა აღსართანს თელავს*“²

კახეთის მეფემ სწორად განსაჯა, რომ ფადლონისათვის თავშესაფრის მიცემა მისთვის არც თუ ისე უსაფრთხო იყო, „*რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩადგომისა*“.³ გარდა ამისა, ფადლონის თბილისში გაბატონება და მისი პოლიტიკური აქტიურობა საბოლოოდ არ შეიძლებოდა კახეთის მეფისათვის საზიანო არ ყოფილიყო. ის კი არადა, როგორც „*მატიანე ქართლისაჲს*“ მასალებიდან ირკვევა, ამ პერიოდში ფადლონი კახეთის მეფის კუთვნილ ზოგიერთ ტერიტორიას (ხორნაბუჯისა და არადეთის სანაპირო ოლქები) დაპატრონებია კიდევ.⁴ ყოველივე ეს არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინა აღსართან გაგიკის ძეს და არ გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფესთან.

ამრიგად, განძის ამირასთან ტრადიციულმა მტრობამ, რომელიც მუდამ აკავშირებდა ერთმანეთთან ქართველ და სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებს (შემთხვევითი არ არის, რომ ამ მოვლენებში არსად ჩანს კვირიკე სომეხთა მეფე, რომე-

105 ; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 197. **{18}**

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 311.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 312.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 312.

⁴ *მატიანე ქართლისა*, გვ. 312; იხ. აგრეთვე **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 198.

ლიც, ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, ბაგრატ IV-ისათვის სასარგებლო ნეიტრალიტეტს იცავდა), ამჯერადაც შეარიგა ბაგრატ მეფე და აღსართან I, მაგრამ კახეთის მეფე ერთბაშად არ შეთანხმებულა ბაგრატ IV-სთან, ჯერ მან „წარიყვანა ხორნაბუჯს... მიუპყრნეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუჯი, წარიყვანეს არადეთად და მისცა არადეთი აღსართანსვე“.¹ მხოლოდ თავისი სამფლობელოების დაბრუნების შემდეგ გააბა მან საქართველოს მეფესთან მოლაპარაკება, და მისგანაც გარკვეული საფასური მოითხოვა: „ხოლო ბაგრატ შეშინდა გაშუებასა ფადლონისსა, მისცა ბოჭორმა და უჯარმო კახთა, და წამოიყვანეს ფადლონ“.²

ფადლონის შეპყრობამ ბაგრატ IV-ეს გზა გაუხსნა თბილისისაკენ: „გასუეს {19} (ფადლონი – ზ.პ.) ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა; და აიღეს ჭირვეულად ტფილისი, რამეთუ მუნ შინა მდგომი კაცი თვთ გაამირებასა ლამობდა“.³ თბილისში, ამ დროს, როგორც ჩანს, მწვავე „შინაგანი ბრძოლა“ მიმდინარეობდა,⁴ ამიტომ ბაგრატ IV-ემ ვერ მოახერხა ქალაქის „თავისად დაჭერა და იძულებული გახდა გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. მან დმანისს დატოვებული სითლარაბი ძებნა,... და მისცა მას ტფილისი“.⁵ ფაქტობრივად, ამით ბაგრატმა სრული კონტროლი დაამყარა ქალაქზე. გარდა ამისა, მან „თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგილ-წმინდანი, ქავაზანი, და ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი, და მძევალნი ძმისწულნი მისი, ძე მანუჩარისი, და სამთა თავადთა განძისათა“.⁶ როგორც ფიქრობენ, აქ ჩამოთვლილი ციხეები ძირითადად ქვემო ქართლში – სომხეთში – მდებარეობდა⁷ და თბილისის იმ „სასაზღვრო რაიონს“ შეადგენდა,

¹ მატიანე ქართლისა. გვ. 312.

² მატიანე ქართლისა, გვ. 312. {19}

³ მატიანე ქართლისა, გვ. 312.

⁴ შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 244.

⁵ მატიანე ქართლისა, გვ. 312.

⁶ მატიანე ქართლისა, გვ. 312.

⁷ ამ ციხეების ადგილომდებარეობის შესახებ დანვრ. იხ.: ნ. ბერძე-

რომელიც ალფ-არსლანმა ფადლონს გადასცა.¹ ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო. ამით ბაგრატ IV-ემ კვლავ ხელში აიღო ინიციატივა და თანმიმდევრულად შეუდგა თავისი პოზიციების განმტკიცებას აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოს მეფის მიერ ფადლონის შეპყრობა და თბილისის დაკავება მძიმე დარტყმა იყო ალფ-არსლანისათვის და ის, ბუნებრივია, უპასუხოდ არ დატოვებდა ამ გამონვევას. „და მოგ ზავნა სულტანმა სარანგი აღხაზი, და მისითა შუამდგომლობითა და სიტყვითა სულტნისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონ, და ვავ ზავნა სახელმწიფოსა თვსსა განძას. და ნარჰყვა სარანგი თანა“.² როგორც ვხედავთ, ალფ-არსლანმა, ამ შემთხვევაში, დამსჯელი ექსპედიცია კი არ მოახწო საქართველოში, არამედ ბაგრატთან მშვიდობიანი მორიგება არჩია. უფრო მეტიც, ფადლონის გაშვების საფასურად ბაგრატ IV-ეს „მოართუნეს ვაგით კლიტენი, და აღიღო აფხაზთა მეფემან ვაგი“.³ რითი უნდა ყოფილიყო გამონვეული დიდი სელჩუკის ამგვარი ღმობიერება? ნყაროებში რაიმე კონკრეტული მითითება, რომელიც ახსნიდა ალფ-არსლანის ამ ნაბიჯს, არ გაგვარჩნია. ამდენად სრული

ნიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). – *საქართველოს ისტორიის საკითხები*. ტ. I. თბ., 1964, გვ. 308; **დ. ბერძენიშვილი.** ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები*, II. თბ., 1964, გვ. 42.

¹ **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 199.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 312. ქართველი მემამტიანის მიერ საგანგებოდ აღნიშნვა იმისა, რომ სარანგი „თან ნარჰყვა“ ფადლონს, შემთხვევითი არ უნდა იყოს, როგორც მუნეჯიმ ბაშის ანონიმის ქრონიკიდან ირკვევა, ფადლონის ტყვეობაში ყოფნისას მის ძმა აშოტს სასახლის გადატრიალება მოუწყვია და არანის მმართველის ტახტსაც დაუფლებია (**В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда, გვ. 97; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 199.) როგორც ჩანს, სარანგს სულთნისაგან დავალებული ჰქონდა ფადლონის განძაში ჩაყვანა და იქ მისი ხელისუფლების აღდგენა. {20}

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 313.

და ამომწურავი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე უდავოდ გაჭირდება, მაგრამ თუ გავიაზრებთ ახლო აღმოსავლეთში იმ დროს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, შესაძლებლად მიგვაჩნია გარკვეული შეხედულებების შემუშავება ამ საკითხთან დაკავშირებით.

XI ს. 60-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს სამხრეთით სიტუაცია უაღრესად დაიძაბა, თურქ-სელჩუკები თანდათან სულ უფრო აძლიერებდნენ თავიანთ შეტევას ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებზე. ამ პერიოდში მათ თავიანთი თავდასხმების მთავარ ობიექტად ანატოლია აქციეს,¹ ამის პარალელურად სელჩუკებმა ბიზანტიას ანტიოქიის მხრიდანაც შეუტყეს.² სელჩუკები არა მარტო არბევდნენ და აოხრებდნენ ანატოლიის პროვინციებს, არამედ იქვე ყოვნდებოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ასე ეყრებოდა საფუძველი ანატოლიაში თურქთა ჩასახლებას და ამ რეგიონის საბოლოოდ გათურქებას.³ თურქ-სელჩუკთა ამგვარმა გააქტიურებამ ბიზანტიის ხელისუფლება მეტად ძძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. აუცილებელი გახდა კონსტანტინოპოლის მხრიდან გადამწყვეტი ღონისძიებების გატარება თურქთა ამ შეტევის შესაჩერებლად. ეს მისია თავის თავზე აიღო იმპერატორმა რომან დიოგენმა, რომელმაც 1068 წელს დაიკავა კეისრის ტახტი.

ახალმა იმპერატორმა უმოკლეს დროში დაამყარა წესრიგი არმიაში.⁴ შეკრიბა ლაშქარი ფრანკთა, ოღუზთა და მაკედონელთაგან და დაიძრა სელჩუკების წინააღმდეგ.⁵ რომან დიოგენმა თავდაპირველად სელჩუკებს სირიაში შეუტია, აიღო ალეპოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მენბიჯის ცი-

¹ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 248.

² **А. П. Каждан.** Внутривосточный кризис в конце XI в. и внешнеполитический разгром. – *История Византии*, т. II. М., 1967, გვ. 284.

³ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 248.

⁴ **А. П. Каждан.** Внутривосточный кризис..., გვ. 283-284.

⁵ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 249.

ხე¹ და მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სელჩუკთა მფლობელობას ამ რეგიონში. სელჩუკები ბიზანტიის იმპერატორის ამ შემოტევას, რასაკვირველია, უპასუხოდ არ დატოვებდნენ, 1069 წელს მათ ერთ **{21}** დროულად სამი მხრიდან – აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან – დაიწყეს თავდასხმები ანატოლიაში და ხელთ იგდეს კონია.²

რომან დიოგენმა საკმაოდ ენერგიულად უპასუხა სელჩუკებს და ევფრატს იქით გადარეკა ისინი.³ ამავე დროს, იმპერატორმა მოინდომა სელჩუკების, საერთოდ, ანატოლიის საზღვრებიდან განდევნა.⁴ დაინახა რა ანატოლიაში სელჩუკთა პოზიციების შესუსტების საშიშროება, ხორასანში მყოფმა ალფ-არსლანმა განიზრახა დიდი ლაშქრობა მოეწყო ბიზანტიის წინააღმდეგ. სულთნის ეს გადაწყვეტილება დააჩქარა მისმა სურვილმა გაელაშქრა ეგვიპტეზე. ამ დროს ეგვიპტის ფატიმიანთა სახელმწიფოში მწვავე შინაბრძოლები მიმდინარეობდა, რომლის დროსაც ამირათა ერთმა ნაწილმა ალფ-არსლანი ეგვიპტეში მიიწვია.⁵ 1070 წელს ალფ-არსლანი დიდი ჯარით დასავლეთისაკენ დაიძრა. ის აზერბაიჯან ბიზანტიის ტერიტორიაზე შეიჭრა და ერთ დღეში აიღო ცნობილი ქალაქი მანასკერტი.⁶ ასე დაიწყო სელჩუკთა ახალი სამხედრო კამპანია, რომელიც, როგორც ცნობილია, დასრულდა მანასკერტის ძლევამოსილი ეპოპებით 1071 წ. 24 აგვისტოს.⁷

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XI ს. 60-იანი წლების მიწურულს, როდესაც ბაგრატ IV-მ განავითარა თავისი გაცილებ-

¹ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 250; **А. П. Каждан.** Внутривосточный кризис в конце XI в., გვ. 284. **{21}**

² **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 250.

³ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 250.

⁴ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 250-251.

⁵ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 250.

⁶ **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 250.

⁷ დანვრილებით იხ.: **ბ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 253-265. **{22}**

ბით უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით იყო დაკავებული და მას უბრალოდ საქართველოსთვის არ ეცალა. უნდა ვიფიქროთ, რომ ალფ-არსლანმა, ბიზანტიის წინააღმდეგ გენერალური შეტევის მზადების პერიოდში, არ მიიჩნია გამართლებულად ძალების გაფანტვა და შეგნებულად არ გაამწვავა ურთიერთობა ბაგრატ IV-სთან. გარდა იმისა, რომ საქართველოს მეფის დასჯა, თავისთავად, არც თუ ისე ადვილი საქმე იყო (რაშიც სულთანი 1068 წ. ლაშქრობის დროს უნდა დარწმუნებულიყო), ეს ალფ-არსლანის მხრიდან არც დიპლომატიური თვალსაზრისით იყო გამართული. მას, როგორც საკმაოდ გამჭრიან პოლიტიკურ მოღვაწეს, უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინა სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველთა და ბიზანტიელთა ერთობლივი გამოსვლის შესაძლებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ XI ს. 50-იანი წლების დამლევებიდან კარდინალურად შეიცვალა ბიზანტიის მმართველი წრეების დამოკიდებულება საქართველოს სამეფოს მიმართ და ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანი, პრაქტიკულად თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა, 60-იან წლებში, სელჩუკთა საფრთხის გაძლიერებასთან ერთად, ეს ურთიერთობა {22} კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო, რის გამოხატულებადაც მიჩნეულია იმპერატორ კონსტანტინე X დუკას ვაჟის დაქორწინება ბაგრატ IV-ის ასულ მართაზე (მარიამი), რომელსაც მკვლევრები ძირითადად 1065¹ თუ 1066² წლით ათარიღებენ.³

¹ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ., 1980, გვ. 217; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 277.

² თ. ჟორდანიას. ქრონიკები..., I. გვ. 210-216; И. М. Нодия. Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии. – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები*. ეძღვნება აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს. თბ., 1978, გვ. 149.

³ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არის მოსაზრება რომლის მიხედვით მიხეილ დუკასა და მარიამის ქორწინება მოხდა მოგვიანებით – 1071 წელს, როდესაც მიხეილმა იმპერატორის ტახ-

მართალია, წყაროებში არა გვაქვს რაიმე კონ{23}კრეტული მინიშნება, ამ პერიოდში სელჩუკთა წინააღმდეგ საქართველო-ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთანამშრომლობის შესახებ, მაგრამ საერთო მტრის წინააღმდეგ რაღაც შეთანხმებული მოქმედების მთლიანად გამორიცხვაც არ მიგვაჩნია გამართლებულად. ამდენად, კატეგორიული მტკი-

ტი დაიკავა (**თ. ჟორდანია**. ქრონიკები. I. გვ. 211; **Б. С. Эсадзе**. Летопись Грузии. Тифлис, 1913, გვ. 148), მიუხედავად იმისა, რომ ი. ნოდია შეეცადა (იხ. **И. М. Нодия**. Грузинские материалы., გვ. 149.) დაესაბუთებინა ამ თვალსაზრისის მცდარობა, უნდა ითქვას, რომ მის მიერ მოტანილი არგუმენტი – თითქოს ბიზანტიური საოჯახო სამართლით ნებადართული იყო 13-14 წლის ქალიშვილის გათხოვება, ხოლო 1071 წელს მარიამი 20 წლის მაინც იქნებოდა, ამიტომ ეს ქორწინება 1071 წლამდე უნდა მომხდარიყო, მაინც და მაინც დამაჯერებელი არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენი აზრით, უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა არა საპატარძლოს, არამედ უფლისწულ მიხეილის ასაკს. ცნობილია, რომ 1065-66 წლებში, როდესაც მარიამი ჩამოიყვანეს კონსტანტინოპოლში, მიხეილ დუკა ჯერ კიდევ სცირენლოვანი იყო და ამ მიზეზით 1067 წელს კონსტანტინე X-მ სიკვდილის წინ რეგენტად თავისი მეუღლე ევდოკია გამოაცხადა (**А. П. Каждан**. Внутривосточный кризис., გვ. 283; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა., გვ. 277-278.) მართალია, გიორგი ხუცეს-მონაზონის თხრობაში, რომელიც იძლევა დანვრილებით ინფორმაციას მართა-მარიამის კონსტანტინოპოლში გამგზავრების შესახებ. პირდაპირაა მითითებული, რომ „მას ჟამსა, ... მართა უფლისწული **სძლად თვსად კონსტანტინე დუკინმან მოიყვანა, დედოფლად სამეფოსა ამას ქალაქსა“** (**გიორგი მცირე**. ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. თბ., 1978, გვ. 327, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**), მაგრამ ადვილი შესაძლებელია ამ დროს მომხდარიყო მხოლოდ ნიშნობა და არა ქორწინება. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მიხეილი 1071 წლამდე, ტახტზე ასვლამდე არ შეიძლებოდა დაქორწინებულიყო მარიამზე, მაგრამ უდავოა, რომ ეს ქორწინება 1065-66 წლებში, უფლისწულის არასრულწლოვანების გამო, ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი ხდება კონსტანტინე დუკას გადანყვებილება თავისი მეუღლის რეგენტად დანიშნვის შესახებ. {23}

ცება იმისა, რომ ამ დროს საბოლოოდ წყდება ბიზანტია-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი „აღმოსავლეთიდან მოსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“, ¹ ცოტა ნაჩქარევად გვეჩვენება.

რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია, რომ რომან დიოგენის მთავრობას გარკვეული კორექტივები შეეტანა იმ ურთიერთობაში, რომელიც დამყარდა ბაგრატ IV-სა და კონსტანტინე დუკას შორის. შეუძლებელია ახალ იმპერატორს არ გაეთვალისწინებინა ის საფრთხე, რომელსაც შეუქმნიდა მას საქართველოს მეფის სიძე მიხეილ დუკა, რომელსაც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ალბათ, თავისი სიმამრის ბაგრატ სევასტოსის იმედიც ექნებოდა. ყოველივე ამის გამო, რომან დიოგენისათვის, ბუნებრივია, ნაკლებად მოსაწონი იქნებოდა დუკების საგვარეულოს დინასტიურ-ნათესაური კავშირი ბაგრატიონთა სამეფო-სახლთან, მაგრამ სელჩუკთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის ინტერესი, საფიქრებელია, აიძულებდა მას თავი შეეკავებინა რაიმე ანტიქართული აქციებისაგან და ამით არ გაერთულებინა ურთიერთობა საქართველოს მეფესთან, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი, ობიექტურად ბიზანტიის მოკავშირედ გამოდიოდა სელჩუკების წინააღმდეგ ომში.

ასეა თუ ისე, ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ საქართველოსა და ბიზანტიას შორის პოლიტიკური კავშირის განწყვეტა XI ს. 60-იანი წლების მიწურულისათვის. სხვა საკითხია, რომ ამის მიღწევას შეეცდებოდა სელჩუკთა სულთანი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა საქართველო-ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა. აქედან გამომდინარე, ამ კუთხიდან ხომ არ შეგვეხედა ალფ-არსლანის „სამშვიდობო ინიციატივისადმი“ ბაგრატ IV-ის მიმართ? იქნებ ცბიერი სულთანი ამ გზით ცდილობდა ბიზანტიასთან დიდ ომში საქართველოს მეფის მხრი-

¹ ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 279.

დან ნეიტრალიტეტის უზრუნველ ყოფას. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ალფ-არსლანის პასიურობა ბაგრატ-ფადლონის კონფლიქტის დროს შემთხვევითი არ იყო და ის გამონეუელი იყო ახლო აღმოსავლეთში იმ დროს არსებული საერთო პოლიტიკური ვითარებით. სწორედ ბიზანტია-სელჩუკების ფონზე შექმნილმა გამწვავებულმა სიტუაციამ მისცა ბაგრატ IV-მ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თავისუფალი მოქმედების საშუალება.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბაგრატ IV-ს კვლავ მოუხდა განძის ამირას წინააღმდეგ გალაშქრება. ფადლონმა ვერ მოინელა თავისი მარცხი *„გატეხნა ფიცნი და შუამდგომლობანი დიდისა სულტანისა, და მოიპარა ქავაზინი“*. მან ისარგებლა ბაგრატ მეფის აფხაზეთს ყოფნით *„და მოადგა აგარათა; და მისცნა ციხისთავმან აგარანი“*. მაგრამ მეფე *„მსწრაფლ აღმოვიდა“* და აგარა უკან დაიბრუნა.¹ ბაგრატ IV, როგორც ჩანს, გააბრაზა ფადლონის {24} ამ ავანტიურამ და მისი სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. ამ მიზნით *„გამოიყვანა დორღოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა ოვსითა, და წარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოხზრა განძა, და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ, და გაგზავნა თავის სამეფოდ“*.² საქართველოს მეფის მიერ განძის დალაშქვრა, თავისთავად, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ ფაქტმა ერთიორად აამაღლა საქართველოს სამეფოს ავტორიტეტი მის მეზობლებში. ბაგრატ IV-მ ამ აქციით არა მარტო გადაჭრა ფადლონის პრობლემა. არამედ აშკარა გახადა საქართველოს სახელმწიფოს პრეტენზიები პოლიტიკურ ჰეგემონობაზე საერთო კავკასიური მასშტაბით.

ამგვარი მტკიცების საფუძველს გვაძლევს ჩდრილოეთ კავკასიის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეულის – ოვსეთის სამეფოს – ჩართვა საქართველოს სახელმწიფოს პო-

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 313. {24}

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 313.

ლიტიკური ინტერესების რეალიზაციის საქმეში. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით X ს. I ნახევრიდან, „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ის დროიდან, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები თანმიმდევრულად ზრუნავდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს კულტურულ პოლიტიკური ჰეგემონობის დამყარებისათვის.¹ ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ოვსეთის სამეფოს – იმიერკავკასიაში ყველაზე ანგარიშგასაწივი პოლიტიკური ძალის – შემოყვანას საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების სფეროში.

ამ მიმართულებით ბაგრატ IV-მაც გადადგა გარკვეული ნაბიჯები, დაამყარა რა ახლო დინასტიურ-ნათესაური კავშირი ოვსთა სამეფო სახლთან. როგორც ვიცით ის დაქორწინდა ბორენაზე, ოვსთა მეფის ურდურეს ასულზე, დორლოლელის დაზე. ამ კავშირმა პირველი პოზიციური შედეგები ჯერ კიდევ XI ს. 30-იან წლებში გამოიღო, როდესაც ბაგრატ IV-ის მიერ ინსპირირებულ იქნა ოვსეთ-კახეთის კონფლიქტი.² შემდგომ ოვსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, ეტყობა, კიდევ უფრო გაღრმავდა, რამაც შექმნა კიდევ პირობები ისეთი გრანდიოზული ერთობლივი აქციის მოწყობისა, როგორც იყო განცხადებული გალაშქრება.

ის ფაქტი, რომ განცხადებული ლაშქრობის ინიციატივა მთლიანად საქართველოს სამეფო კარიდან მოდიოდა – **„გამოიყვანა“** (ბაგრატ IV-მ – **ზ.პ.**) **დორლოლელი**“ და, რომ გაერთიანებულ ლაშქარს სარდლობდა უფლისწული გიორგი (**„წარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი“**), ამკარად მიუთით-

¹ **ზ. ჰაპასქირი.** საინტერესო მონოგრაფია (რეცენზია თ. მიბჩუანის ნაშრომზე: „მეგობრობის სათავეებთან“ თბ., 1986). – *მნათობი* 8, 1987, გვ. 174-175.

² **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დასასრულამდე). სტალინირი, 1958, გვ. 132-133; **Г. Д. Тогошвили.** К вопросу о характере грузино – северо-кавказских взаимоотношений в XI-XIII вв. – *Вопросы истории народов Кавкази.* Сборник статей, посвященных памяти **З. В. Анчабадзе.** Тб., 1988, გვ. 186. **{25}**

თებს **{25}** საქართველოს სამეფოს გარკვეულ პრიორიტეტზე ოვსეთთან ურთიერთობაში¹ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოვსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, ამ დროისათვის, უკვე აშკარად გამოიკვეთა ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობის ელემენტები.²

ამრიგად, XI ს. 70-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს სამეფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა, მიუხედავად იმისა, რომ სულთან ალფ-არსლანი ასე ადვილად არ ეხსნებოდა ბაგრატ IV-ეს, *„არებდა სულტანი ალფ-არსლანი მოციქულთა და უკრებდა ძღუენტა ბაგრატ მეფესა, ამითა ენითა სთხოვდა ხარაჯასა ... არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა, არამედ ავლენდა მოციქულთა, და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყვარული“*.³

¹ **ჯ. სტეფნაძე**. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები კავკასიის ხალხებთან XII ს. თბ., 1974, გვ. 115-116.

² ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობა დორლოლელის სტუმრობის შესახებ საქართველოში, რომელსაც ადგილი ჰქონდა განძიდან დაბრუნებისთანავე: *„ამისა შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორლოლელმან დი-სიძისა მათისა ბაგრატიისა სევასტოსისათვის, და ითხოვა დარბაზობა ბაგრატიისაგან. ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მივიდა ქუთათისს. და ნახა დაჲ მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპალატისა; რამეთუ გიორგი კურაპალატი გებულ იყო უნინა, და მოიყვანეს ქართლს. და მეფე დგა ტინისჭიდის ქალასა, ნადარბაზევს. და მოეგება წინა დიდითა ზეიმით და პატივითა. შეკრბეს ერთგან კეზუთა ზედა. და იყო სიხარული და ჴმა ბუკთა და დუმბულთა საშინელი და მიუნდომელი. და დაყვეს ერთგან დღე თორმეტი. და განისუენეს ყოვლითა განსუენებითა და სიხარულითა. და მიზეზითა ზამორითა გაისწრაფეს, და მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა, ვაგ ზავნა და წარვიდეს სიხარულითა“*. **მატიანე ქართლისა**, გვ. 313 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). **ჯ. სტეფნაძე**. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები..., გვ. 115-116.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 314. **{26}**

როგორც ვხედავთ, საქართველოს მეფემ მოხერხებული სამხედრო და დიპლომატიური სვლებით შეძლო უვნებლად გამოსვლა მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან და თავი დააღწია სელჩუკთა დიქტატს. გარდა ამისა, საქართველოს სამეფო, ამავე დროს კონსტანტინოპოლიდანაც პრაქტიკულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა გახდა. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფომ XI ს. 60-იან წლებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო არენაზე ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე. {26}

**თავი II. თურქ-სელჩუკთა ბაბატონება მასლობელ
აღმოსავლეთში და საქართველოს
საბარმო-პოლიტიკური მდგომარეობის
გაუარესება 70-80-იან წლებში**

XI ს. 70-იანი წლების დამდეგს ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად ახალი პოლიტიკური კლიმატი შექმნეს ახლო აღმოსავლეთში. 1071 წელს მანასკერტთან განცდილმა კატასტროფამ საბოლოოდ გატეხა წელში ბიზანტიის იმპერია.¹ ამიერიდან ბიზანტიის იმპერია უკვე ვერ აჩერებდა სელჩუკთა წინსვლას დასავლეთის მიმართულებით და მათაც, სულ მოკლე ხანს, ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვების სანაპიროებსაც მიაღწიეს.² ამავე პერიოდში დასრულდა სომხეთის დაპყრობაც და სომხეთსა და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან საქართველოს უშუალოდ სელჩუკთა სულთანი გაუმეზობლდა. პარალელურად სელჩუკებმა მნიშვნელოვნად განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც, დაამყარეს რაკონტროლი შარვან-დარუბანდზე.³

ყოველივე ამან უკიდურესად გააუარესა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა. ის, ფაქტობრივად, მარტოდმარტო აღმოჩნდა მრისხანე მტრის წინააღმდეგ. ასეთ მძიმე საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოს სამეფოს მწვავე შინაპოლიტიკური გართულებებიც დაატყდა თავს, რაც სახელმწიფოს სათავეში ახალი მეფის – გიორგი II-ის – მოსვლით იყო გამოწვეული. ჯერ (1073 წ.) ნიანია ქუაბულის ძემ, ივანე ლიპარიტის ძემ და ვარდან სუანთა ერისთავმა „აუშალეს ქვეყანა“ გიორგი მეფეს და

¹ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 266.

² ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 269.

³ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 302; პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 132.

სათუო გახადეს მისი ხელისუფლება.¹ მეფემ ვერ შეძლო მკაცრი ზომების გატარება აჯანყებულთა მიმართ და მხოლოდ „სიკეთითა სიბრძნითა“ დააშოშმინა ისინი: „უბოძა ივანეს სამშვლდე; და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლონობანნი ნაცვლად რუსთავისა“; რომელიც ერგო აჯანყებულთა მოკავშირე კახელებს.² ნიანიასა და ვარდანსაც ებოძა ახალი სამფლობელოები და ასე „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა“;³ მაგრამ ამან ვერ მოუტანა მშვიდობა გიორგი II-ს: „კუალად დადგა ივანე ლიპარიტის-ძე“.⁴

საქართველოს მეფე ამჯერად უფრო მობილიზებული შეხვდა **{27}** ურჩი ფეოდალის ამ ამბოხს; „მოირთნა მესხნი“, აგრეთვე „მოიყვანა კახთა მეფე აღსართან“ და მათი მეშვეობით შეძლო ივანეს შემორიგება, თუმცა ამ უკანასკნელმა მაინც შეძლო კლდეკარისა და სამშვილდის შენარჩუნება.⁵ ივანე ლიპარიტის ძემ არც ამის შემდეგ მოისვენა: „კუალადაც გადგა... გამოსტყუა ვაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა, და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონსა“.⁶ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, როგორც ჩანს, ფხიზლად ადევნებდა თვალს სულთან მალიქ-შაჰი, რომელიც, ეტყობა, მხოლოდ შესაფერის მომენტსლა ელოდა საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებისათვის.

ვაგის ციხე, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ბაგრატ IV-მ, ფაქტობრივად, სულთან ალფ-არსლანის სანქციით მიიღო. გავარკვიეთ აგრეთვე, რომ ეს აქტი სელჩუკთა მხრიდან რამდენადმე იძულებითი იყო და ის ბიზანტიის წინააღმდეგ

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 316; ივ. **ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, II. გვ. 150; მ. **ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 201-202.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 316.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 316.

⁴ *მატიანე ქართლისა*, გვ. 316. **{27}**

⁵ *მატიანე ქართლისა*, გვ. 316; ნ. **შენგელია**. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 304.

⁶ *მატიანე ქართლისა*, გვ. 316.

ტოტალური შეტევის მზადების პირობებში გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ მას მერე, რაც სელჩუკებმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს იმპერიასთან ომში, ახალი სულთანი მალიქ-შაჰი ყოველმხრივ შეეცდებოდა თავისი პოზიციების განმტკიცებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ნებისმიერ საბაბს გამოიყენებდა ამ ამოცანის შესასრულებლად. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ის აქტიურად ჩაება გიორგი II-სა და ივანე ლიპარიტის ძის კონფლიქტში. „მოვიდა სულტანი მალიქ-შა მტრად ყოველთა ქრისტიანეთა. მიეგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეანყნარა სულტანსა და დაყო მისთანა მცირედი ხანი“.¹

როგორც ვხედავთ, ბაგრატიონთა ხელისუფლების წინააღმდეგ ტრადიციულად მებრძოლი საგვარეულოს წარმომადგენელმა ივანე ლიპარიტის ძემ, მამამისის მსგავსად, თავისი შინაკლასობრივი ინტერესების დასაცავად, გარეშე ძალის გამოყენება სცადა, მაგრამ სელჩუკთა სულთანს, ეტყობა, შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა და მას, ამ შემთხვევაში, ნაკლებად აწუხებდა ამბოხებული ქართველი დიდებულის ბედ-იღბალი, დარწმუნდა რა ამაში, ლიპარიტი გამოიპარა სულთნის ბანაკიდან და მამასთან ერთად სამშვილდეში გამაგრდა. „მოვიდა სულტანი, და მიადგა სამშკლდესა, და წარულო სამშკლდე, და ტყუე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილიშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედანულითა, და დაიჭირა სამშკლდე სულთანმა“. მალიქ-შაჰი ამასაც არ დასჯერდა. მან ისარგებლა მომენტიტ და „მოარბია ქართლი, წაილო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ და შეიქცა გარე“.²{28}

ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართლის დარბევა მალიქ-შაჰის მიერ თითქოს დატყვევებული ივანე ლიპარიტის ძის რჩევა-დარიგების შე-

¹ მათიანე ქართლისა, გვ. 316. **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 304.

² მათიანე ქართლისა, გვ. 316-317. {28}

დეგად მოხდა,¹ რაც წყაროთა მონაცემების საფუძველზე არ დასტურდება. ივანე ლიპარიტის ძეს რაიმე დამსახურება რომ ჰქონოდა მალიქ-შაჰის წინაშე ქართლის დალაშქვრის დროს, ვფიქრობთ ეს სათანადოდაც იქნებოდა დაფასებული სულთნის მიერ. წყაროების დუმილი ივანე ლიპარიტის ძის შემდგომი ბედ-იღბლის შესახებ კი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ეს უკანასკნელი ტყვედ ჩავარდნის შემდეგ არ თამაშობდა აქტიურ როლს პოლიტიკურ ცხოვრებაში.² გაძლიე-

¹ **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 305.

² გამონაკლის წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, სადაც დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ მებრძოლად გამოცხადებულია არა დავითის ისტორიკოსის „ლიპარიტი ამირა“ არამედ მისი მამა – „ლიპარიტის შვილი ივანე“, რომელიც, მალიქ-შაჰის „ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ“, აჯანყებია დავით მეფეს. ამ უკანასკნელმა „შეიპყრა ის და ჩასვა საპყრობილეთში, რომ განვრთნილიყო. კვლავ გაათავისუფლა ბორკილებიდან და იმავე დიდებით პატივი სცა მას. მაგრამ, როცა ძალღვივით მოექცა ნათხევარს, ისევ შეიპყრო ის და საბერძნეთს გაგზავნა“ („ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევებითა და ლექსიკონით გამოსცა **ი. აბულაძემ.** თბ., 1953, გვ. 238). დავითის ისტორიკოსის თხზულების ქართულ ორიგინალსა და ძველ სომხურ თარგმანს შორის არსებულ ამ წინააღმდეგობას ყურადღება მიაქცია ილ. ანთელავამ. იმ მოტივით, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის უძველესი ნუსხა გაცილებით უფრო ადრინდელია (1279-1311 წლებშია გადაწერილი. იხ.: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი... გვ. 04), ვიდრე ჩვენდამე მოღწეული ქართული ნუსხები, მკვლევარმა უპირატესობა მიანიჭა სომხური თარგმანის მონაცემებს. ილ. ანთელავას აზრით, მრავალჯერადი გადაწერისას, შესაძლოა, „ამოვარდა სახელი „ივანე“ და დარჩა „ლიპარიტი“... ვინაიდან ლიპარიტი ცნობილი იყო ივანეს შვილად. „მატიანე ქართლისაჲს“, მიხედვით, ჩანს, ჩაითვალა რომ დავითის ისტორიკოსთან სწორედ მასზეა საუბარი“ (ილ. ანთელავა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „ლიპარიტი ამირას“ შესახებ; ილ. ანთელავა. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988, გვ. 35). აქედან გამომდინარე მკვლევარი სვამს საკითხს „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითის“ ტექსტის შესაბამის ადგილებში სომხური თარგმანის მონაცემების საფუძველზე კორექტივების შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ (ილ. ანთელავა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 36). ჩვენ

საეჭვოდ მიგვაჩნია მოტიანილი არგუმენტების მიხედვით დავითის ისტორიკოსის თხზულებაში შესწორების შეტანის აუცილებლობა. რასაკვირველია, შესაძლე⁽²⁹⁾ბელია ამა თუ იმ მატიანის მრავალგზის გადანერისას ზოგიერთი სახელი (ან სიტყვა) მართლაც ამოვარდეს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია ეს მომხდარიყო უკლებლივ ყველა ქართული ნუსხის გადანერისას და, თანაც თითოეულში ორჯერ (როგორც ცნობილია, დავით მეფის „*ცხოვრების*“ ტექსტშიც ორ ადგილასაა დაფიქსირებული კლდეკარის იმდროინდელი ერისთავის სახელი – „ლიპარიტ“). ბალვაშთა საგვარეულოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის ისტორია საკმაოდ კარგად იყო ცნობილი ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის, რაც დასტურდება მოგვიანო ხანის ისტორიკოსთა („*ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი*“ ავტორი, ჟამთააღმწერელი) მონაცემებით. როგორც ჟამთააღმწერლის თხზულებიდან ჩანს, საქართველოში ამ ბრძოლის ამსახველი სპეციალური საისტორიო ნაშრომიც (საგვარეულო მატიანე) კი უნდა არსებულებოდა. „*ნარვიდა ლაღლურ*, – წერს „*ასწლოვანი მატიანის*“ ავტორი, – *და კახაბერის ძე კახაბერი, რომელი იყო თესლით ბოროტი, ვითარ გვაუწყებს ნიგნი მეფეთა ბაღუშისათა და ნათესავთა მისთა*“ (*ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. II. გვ. 268; *ჟამთააღმწერელი*. ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენემუნები და ლექსიკონი დაურთო *რ. კიკნაძემ*. თბ., 1987, გვ. 157, ხაზგასმა ჩვენია – *ზ.პ.*). მართალია, ზოგიერთ მეცნიერს „*ნიგნი მეფეთა, ბაღუშისთა და ნათესავთა მისთა*“ „*მატიანე ქართლისაჲს*“ ქრონიკასთან აქვს გაიგივებული (*კ. გრიგოლია*. „*მატიანე ქართლისაჲს*“ და მისი დასათაურების საკითხისათვის. – *ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*. თბ., 1976., გვ. 223–225), მაგრამ ეს სრულებითაც არ გამოორიცხავს ამგვარი ხასიათის საგვარეულო ქრონიკის არსებობის შესაძლებლობას. ნიშანდობლივია ასევე ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილიც თავის თხზულებაში დავით აღმაშენებლის მეტოქედ ლიპარიტ ბალვაშს ასახელებს (*ბატონიშვილი ვახუშტი*. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 156). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია სომხური თარგმანის მონაცემებისათვის უპირატესობის მინიჭება ქართულ ორიგინალებთან შედარებით. რასაკვირველია, ძნელია დაბეჯითებით რაიმე ვთქვათ იმაზე, თუ რატომ გაჩნდა სომხურ ტექსტებში ბალვაშთა სახლთან დავი-

რებულ მალიქ-შაჰს, როგორც ჩანს, მტკი{29}ცედ ჰქონდა განზრახული, ყოველგვარი მოკავშირეობის გარეშე დაუფლებოდა {30} აღმოსავლეთ ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტებს და აქ უშუალო თავისი ხელი-

თის კონფლიქტის ამგვარი ინტერპრეტაცია. თავისთავად სავსებით დასაშვებია, რომ ივანე ლიპარიტის ძემ დროთა განმავლობაში, მართლაც თავი დააღწია ტყვეობას და დაბრუნდა სამშობლოში. არაა გამორიცხული, რომ სელჩუკებმა, მას მერე რაც დაინახეს, საქართველოს სამეფო ტახტზე მათთვის საშიში სახელმწიფო მოღვაწე – დავით IV, მოინდომეს ბაღვაშთა საგვარეულოს გამოყენება მის {30} წინააღმდეგ და სწორედ ამ მიზნით გაათავისუფლეს კიდევ ივანე ლიპარიტის ძე, მაგრამ ამ დროისათვის ეს უკანასკნელი, სავარაუდოა, ასაკოვანი იქნებოდა და ამის გამო დავითის წინააღმდეგ ომს მისი ვაჟი ლიპარიტი გაუძღვა, რომელსაც, შესაძლებელია, სელჩუკებმა „ამირას“ ტიტულიც კი უბოძეს. ასეა თუ ისე, ამჟამად, რომ სომხურ ისტორიოგრაფიაში რაღაც ინფორმაცია ივანე ლიპარიტის ძის ტყვეობიდან დაბრუნების შესახებ არსებობდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომეხი ისტორიკოსები კარგად იცნობდნენ სწორედ ივანე ლიპარიტის ძეს, რაზედაც ნათლად მეტყველებს არისტაკეს ლასტივერტცისა და მათეოს ურჰაეცის თხზულებათა მონაცემებიც (ამის შესახებ იხ. **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო., გვ. 209-212), რასაც ვერ ვიტყვივით მის ვაჟ ლიპარიტზე, რომელიც საერთოდ არ არის ნახსენები არც ერთ სომეხ ავტორთან. იქნებ, ამან მისცა სომეხ მთარგმნელს „უფლება“ თავისებურად „ჩაესწორებინა“ კიდევ ქართული ორიგინალის ეს „შეცდომა“. რაც შეეხება აზრს იმის შესახებ, თითქოს ლიპარიტი ივანეს ძე მამის დაბრუნების დროისათვის საერთოდ გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო (**ილ. ანთელავა**. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი., გვ. 35), ვფიქრობთ, ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მართალია, „*მატიანე ქართლისაჲს*“ მონაცემები გამორიცხავენ ლიპარიტ ივანეს ძის დატყვევებას მალიქ-შაჰის მიერ, – როგორც წყაროს ცნობიდან ჩანს მან მოახერხა „გამოპარვა“, ხოლო სამშვილდის აღების დროს ის არ დაუტყვევებიათ („*ტყუე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილიშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედანულისთა*“:– *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. გვ. 317, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) – მაგრამ გაუგებარია, ეს რატომ უნდა გვაძლევდეს იმის მტკიცების საბაზს, რომ XI ს. 90-იანი წლების დასაწყისისათვის ლიპარიტი ცოცხალი აღარ იყო და მას არ შეეძლო დავით მეფის წინააღმდეგ გამოსვლა.

სუფლება დაემყარებინა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ქართ-ლიდან გაბრუნებისას მან „აღილო და დაავლო სარანგი თავა-დად განძას და ბრძოლად ქუეყანასა ყოვლისა, რომოცდარვა ათასითა კაცითა, შედგა ფადლონ ციხეთა მაგართა, და ვერ დაუდგნა, გამოიყვანეს და დააპატიმრეს იგიცა“.¹ ე. ი. მალიქ შაჰი ისევე მოექცა განძის ანირა ფადლონს, როგორც ივანე ლიპარიტის ძეს.

ერთი შეხედვით, ეს თითქოს გაუგებარი ჩანს, რადგან ფადლონი სელჩუკთა პოტენციურ მოკავშირედ ითვლებოდა, მაგრამ ეს ასე იყო უწინ, XI ს. 60-იან წლებში, როდესაც „ამი-ერკავკასიის შემომტკიცები**{31}**სათვის და საქართველო-ბი-ზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ზურგის უსაფრთხოების მიზნით, სელჩუკები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმი მმართველების მიმართ ჯერ კიდევ გარკვეულ ლოიალურო-ბას იჩენდნენ.² მანასკერტთან გამარჯვების შემდეგ სელჩუ-კებს უკვე აღარ სჭირდებოდათ ზედმეტი სიფრთხილე აღმო-სავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმური ერთეულების მიმართ და ისინი მათაც იგივე ბედს უმზადებდნენ, რასაც ბიზანტიას თუ საქართველოს. როგორც სავსებით მართლებურად შე-ნიშნავს პ. თოფურია, თურქ-სელჩუკები „ერთნაირად უთხ-რიდნენ ძირს როგორც ქრისტიანული, ასევე მუსლიმანური საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველს“.³ სწორედ ამით უნდა აიხსნას მალიქ-შაჰის მიერ ამირა ფად-ლონის დატყვევება და განძის უშუალოდ მისი ხელქვეითის, სარანგ სივთეგინისათვის გადაცემა.

სარანგის დანიშნვა განძაში, როგორც ჩანს, საქართვე-ლოს სამეფოს წინააღმდეგ აგრესიის გაძლიერების საჭიროე-ბითაც იყო გამონვეული. მას, ეტყობა, სულთნისგან სპეცია-

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 317. **{31}**

² **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 82.

³ **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 82.

ლურად ჰქონდა დავალებული საქართველოს დალაშქვრა.¹ „შემდგომად მცირედისა ხანისა – წერს „მატიანე ქართლისა-
ას“ ავტორი, – შეკრბა სარანგი ყოვლითა ლაშქრითა მისითა
და განძისათა, დვინისა და დმანისისა ამირათა თანადგომი-
თა, და მომართა გიორგი მეფესა“.² გაითვალისწინა რა მოსა-
ლოდნელი საფრთხის მასშტაბები, გიორგი II-მ საგანგებოდ
შეკრიბა დიდი ჯარი, „ზემოთა და ქვემოთ“, მოიშველია აღ-
სართან კახთა მეფე და „მიუჭდა ზედა, ფარცხისს ქუემოთ,
და იოტნა ბანაკი სარანგისი: გააქცია და ასწყვიტა, იყო ჟამი
მწუხრისა და სილამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრი-
სა, და შემოიქცა უკლებლად და მშვიდობით მეფედ-მეფე გი-
ორგი თავისა სამეფოსა“.³

ფარცხისთან ქართველთა გამარჯვებას⁴ დიდი მნიშვნე-
ლობა ჰქონდა საქართველოს სამეფოს უშიშროების განმ-
ტკიცებისათვის.⁵ ამით, გარკვეული დროით, მოგერიებულ

¹ **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 305.

² *მატიანე ქართლისა*, გვ. 317.

³ *მატიანე ქართლისა*, გვ. 317.

⁴ წყაროებში არ არის პირდაპირი მითითება ფარცხისის ბრძოლის თარიღის შესახებ, რაც ამ საკითხზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ივ. ჯავახიშვილი ამ ბრძოლას 1073-1074 წლებით ათარიღებდა (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II. გვ.106); თ. ჟორდანიას ვარაუდით კი, მას ადგილი უნდა ჰქონოდა 11077 წელს (*ქრონიკები...*, I. გვ. 229-230). თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ფარცხისის ომის თარიღად მიღებულია 1076 წელი (**ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 306). „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ გატარებულია ივ. ჯავახიშვილის აზრი და სარანგის განდევნა 1074 წლითაა დათარიღებული (**მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება..., გვ. 202) ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских взаимоотношений (70-в годы XI в.). – *Византийский временник*. т. 40. М., 1979, гв. 94. **{32}**

⁵ აღსანიშნავია, რომ გიორგი II-ის გამარჯვებას საგანგებოდ გამოყოფს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ფარცხისთან გამარჯვებას „დიდ ძლევად“ მიიჩნევს. „*მასვე წელსა მოვიდა სარანგი ძალითა სულტანისათა, ჩამოდგა სამშუღდის ბარს; და*

იქნა სელჩუკთა შემოტევა განძა-არანის მხრიდან და საშუალება მიეცა გიორგი II-ს სხვა საგარეო-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებისათვის ეზრუნა.

„მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით საქართველოს მეფეს *„მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა ნახმულნი ციხენი. ნაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტაანისა. და შემდგომად ამისა ესეცა მომადლა ღმერთმან, აღილო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი“*.¹

დავითის ისტორიკოსი, *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორისაგან განსხვავებით, არაფერს ამბობს გიორგი II-ის მიერ ანაკოფიისა და სამხრეთ საქართველოს ციხეთა დაბრუნების შესახებ და მის მიერ მხოლოდ კარის ციხისა და მიმდგომი ქვეყნის დაუფლების ფაქტს აფიქსირებს, თანაც ამ ფაქტს განიხილავს, როგორც გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ საქართველოს მეფისადმი მორთმეულ საჩუქარს: *„ნარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვსსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისი, და კარნუქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს“*.²

ამ ბოლო დროს მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს

მოვიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი, შეიბნეს ფარცხისს, ძლიეს სპათა გიორგი მეფისათა და იოტნეს სპარსნი, რამეთუ დიდი ძლიეა მოსცა ღმერთმან გიორგისა“. – **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი**. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 318.

¹ *მატიანე ქართლისა*, გვ. 313.

² **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი**. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 318.

„მატიანე ქართლისაჲს“ ქრონიკასა და დავითის ისტორიკოსის თხზულებას შორის არსებულ ამ შინაარსობრივ სხვაობას. გამოითქვა მოსაზრება, რომ დავითის ისტორიკოსი თითქოს, შეგნებულად, უნდა ჩქმალავდეს გიორგი II-ის მიერ ბერძენთათვის მთელი რიგი ციხე-სიმაგრეების წართმევის ფაქტს და ამით ცდილობდეს მისი პიროვნებისადმი ჩრდილის მიყენებას.¹ {33} უფრო მეტიც, ამ და დავითის ისტორიკოსის ზოგიერთ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ადგილი აქვს გიორგი II-ის პიროვნების ერთგვარი „რეაბილიტაციის“ მცდელობებსაც.² მართალია, ამ შემთხვევაში, ჩვენ არ ვისახავთ მიზნად გიორგი II-ის პოლიტიკური საქმიანობის სრულ შეფასებას, და, ამდენად, არც ვაპირებთ ამ საკითხზე დანვრილებით შეჩერებას, მაგრამ ხაზგასმით უნდა ავლნიშნოთ, რომ დავითის ისტორიკოსის დადანაშაულება გიორგი II-ის პიროვნებისადმი ტენდენციურ მიდგომაში გაუმართლებლად მიგვაჩნია. განა შეიძლება ისტორიკოსს ამგვარი ბრალდება წავუყენოთ მხოლოდ იმის გამო, რომ მან არ დააფიქსირა მეფის მიერ ბერძნებისაგან ანაკოფიისა და სხვა ციხეთა განთავისუფლების ფაქტი.

ვერ გავიზიარებთ აგრეთვე მტკიცებას იმის შესახებ, რომ დავითის ისტორიკოსი დაუმსახურებლად აკრიტიკებს გიორგი II-ს ვეჯინის ციხის ალყის მოხსნის გამო, რომელიც ასევე მოჰყავთ გიორგი II-ის პიროვნებისადმი დავით მეფის

¹ **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских взаимоотношений..., გვ. 94-95. {33}

² იხ. **ბ. შენგელია,** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 307-319; **რ. მეტრეველი.** გიორგი II-ის მოღვაწეობის შეფასების საკითხი. – წგნ: **რ. მეტრეველი.** ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1972, გვ. 29-60; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 208; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских взаимоотношений..., გვ. 94-95; **ილ. ანთელავა.** ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ. – წიგნში: **ილ. ანთელავა.** XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988, გვ. 97.

„ცხოვრების“ ავტორის ნეგატიური დამოკიდებულების დამატკიცებელ ფაქტად. ქვემოთ ჩვენ უფრო დანვრილებით შევეხებით იმას, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვა გიორგი II-ის მიერ ვეჯინის ციხის მიტოვებას და შევეცდებით დავასაბუთოთ საქართველოს მეფის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის დავითის ისტორიკოსისეული შეფასების აბსოლუტური სისწორე. ამჯერად კი გვინდა შევნიშნოთ, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არანაკლებ ვხვდებით ისეთ მასალასაც, რომელიც თვალნათლივ მიუთითებს თხზულების ავტორის პოზიტიურ დამოკიდებულებაზე გიორგი II-ის პიროვნების მიმართ.

როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, დავითის ისტორიკოსმა საკმაოდ მაღალფარდოვნად გადმოგვცა გიორგი II-ის მიერ ფარცხისტან სარანგ სივთეგინის ლაშქრის დამარცხების ფაქტი, უწოდა რა მას „დიდი ძლევა“, რომელიც „მოსცა ღმერთმან გიორგის“.¹ დავითის ისტორიკოსის გიორგი II-სადმი დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით კიდევ უფრო ნიშანდობლივია ის შეფასება, რომელიც მემატიანემ მისცა გიორგი II-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სელჩუკთა სულთანთან გამგზავრების თაობაზე: „ამათ რა ესრეთ ხედვიდა მეფე გიორგი და რამეთუ არა სადათ იყო ღონე ხსნისა და შეწვენისა, არც რა დამხსნელი ამათ ძვრთა, რომელ მოეცვა პირი ყოვლისა ქუეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა და ეპყრა, მაშინ ჰყო განზრახ^{34}ვა დიდებულთა თვისთა თანა, და დაამტკიცეს წასვლა მაღალსა სულტანსა მალიქმას წინაშე. და ესრეთ დადვა სული თვისი და სისხლნი ქრისტეანეთა ქსნისათვის და მინდობითა და წარძღუანებითა ძელისაც-

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 318, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ. {34}

ხოვრებისათა წარვიდა ასპანს“¹

როგორც ვხედავთ, დავითის ისტორიკოსი არ იშურებს საქებარ სიტყვებს გიორგი II-ის მიმართ, მაშინ როდესაც მას მეფის ესა თუ ის ნაბიჯი ან მოქმედება სწორედ და გამართლებულად მიაჩნია. მაგალითად, ამ შემთხვევაში, გიორგი მეფის სულთანთან გამგზავრება, მემატინანის აზრით, უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს არაფრად ჩააგდო გიორგი II-მ და რადგან ეს იყო ქვეყნისა და ერის გადარჩენის ერთადერთი გზა, მან უყოყმანოდ „დადვა სული თვისი და სისხლნი ქრისტეანეთა ჯსნისათვის“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი II-ის პოლიტიკური მოღვაწეობის გამუქებით დაინტერესებული ისტორიკოსი ასე არ დაშვრებოდა მისი გმირული შემართებისა და თანგანწირვის სააშკარაოზე გამოსატანად.

ასე, რომ, დავითის ისტორიკოსს უნდა მოეხსნას ბრალდება გიორგი II-ის პიროვნებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ. რაც შეეხება „მატიანე ქართლისაჲსა“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისას“ შორის არსებულ შინაარსობრივი ხასიათის განსხვავებას, საქართველოს სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სამხრეთული ტერიტორიის შემომტკიცების შესახებ თხრობისას, ვფიქრობთ, აქ მაინც და მაინც რაიმე დაუძლეველ წინააღმდეგობასთან არ უნდა გვექონდეს საქმე, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს მ. ლორთქიფანიძე, ორივე წყაროში გადმოცემული მასალა თავისთავად სწორად უნდა ასახავდეს საქმის ვითარებას.²

ერთი მხრივ, სავსებით სწორი უნდა იყოს „მატიანე ქართლისაჲსა“ ავტორი, როდესაც ხაზს უსვამს გიორგი II-ის მიერ აღნიშნული ტერიტორიების იარაღით დაპყრობას; მეორე მხრივ კი, არც დავითის ისტორიკოსი უნდა ცყუოდეს,

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 321, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

² М. Д. Лордкипанидзе. Из истории византийско-грузинских взаимоотношений (70-в годы XI в.). გვ. 94.

როცა ლაპარაკობს იგივე მიწების საქართველოს მეფისათვის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ გადაცემის თაობაზე. ჩვენი აზრით დავითის ისტორიკოსის ეს ინფორმაცია სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი II-ს უომრად ერგო ბერძენთა მიერ „ბოძები“ მიწა-წყალი. ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების მიერ კარისა და ვანანდის ქვეყნების გადაცემა საქართველოს მეფისათვის შემთხვევით არ მომხდარა.

ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულადაა შენიშნული, რომ ბიზანტიას ეს ტერიტორიები 1074 წლის შემდეგ ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა, მას მხოლოდ გარეგნული იურიდიული უფლებები შერჩენოდა¹ და ამიტომ იმპერია, სინამდვილეში, საქართველოს მეფეს {35} მხოლოდ მათი ბრძოლით გამოხსნის უფლებასღა აძლევდა.² ასევე აღნიშნულია, რომ „ბოძების“ ამგვარი ფორმა ტრადიციული იყო კონსტანტინოპოლის დიპლომატიისათვის, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს, თავის დროზე, დავით კურაპალატი-სათვის „ზემო ქვეყნების“ „ბოძება“ ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში განეული დახმარებისათვის.³

აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია, რომ ბიზანტიის მმართველი წრეები ამ გზით, მართლაც, ფიქრობდნენ აღნიშნულ ტერიტორიებზე თავიანთი უფლებების შენარჩუნებას, რადგან მათ თვალში საქართველოს მეფე ჯერ კიდევ რჩებოდა იმპერიის ვასალად.⁴ მაგრამ არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ბერძენთა მიერ საქართველოს მეფისათვის კარისა და ვანანდის ტერიტორიების გადაცემა წარმოადგენდა იმ პირველ რეალურ ნაყოფს, ბიზანტია-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური დაახლოებისა და

¹ **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских взаимоотношений..., გვ. 94. {35}

² **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских..., გვ. 94.

³ **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских..., გვ. 94.

⁴ **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских..., გვ. 94.

ურთიერთთანამშრომლობისა, რომელიც თურქ-სელჩუკთა მოზღვავებული აგრესიის პირობებში მიზნად ისახავდა ორი ქვეყნის ძალების გაერთიანებას საერთო მტრის წინააღმდეგ.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ყოველივე ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც კეისრის ტახტზე იჯდა საქართველოს მეფის სიძე მიხეილ VII დუკა, რომლის მეუღლე მარიამ დედოფალი, შესაძლებელია, სათავეში ედგა ერთგვარ „ქართულ პარტიას“ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე. ამ პარტიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი უნდა ყოფილიყო გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომლის ნამდვილი აღზევება, როგორც ჩანს, მიხეილ დუკას მეფობის პერიოდში იწყება.¹ სწორედ ამ პერიოდში (1072 წ.) უნდა დაეკავებინა მას „იბერიის“ თემის მმართველის თანამდებობა.² საყოველთაოდ ცნობილია, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე ეკუთვნოდა იმ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ იმპერიის სამსახური გამოეყენებინათ თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მის მიერ 1083 წელს შორეულ ბალკანეთში პატრიონონის ქართული სამონასტრო კომპლექსის დაარსება დაგვირგვინება იყო {36} იმ ნაყოფიერი სამხედრო-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი საქმიანობისა, რომელსაც წლების განმავლობაში ეწეოდა ეს ჭეშმარიტი მამულიშვილი ბიზანტიის საიმპერატორო

¹ მართალია, გრიგოლ ბაკურიანის ძეს კონსტანტინე X მეფობის წლებშიც ეკავა საკმაოდ მაღალი თანამდებობა. 1064 წელს ალფარსლანის შემოსევის დროს ის სარდლობდა ბიზანტიელთა ჯარს აღმოსავლეთში (ავ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. თბ., 1971, გვ. 259-260; **Н. Ю. Ломоури**. К истории Петрицонского монастыря. Тб., 1981, გვ. 5), მაგრამ XI ს. 70-80-იან წლებში მისმა ავტორიტეტმა ძლიერ აიწია და ის იმპერიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მოღვაწედ იქცა.

² **В. А. Арутюнова-фиданиян**. К вопросу о термине „восток“ в конце X–XI вв (По данным о высших должностях Византийской империи). – *Византийские очерки*. Труды советских ученых к XVI Международному конгрессу Византистов. М., 1982, гв. 136. {36}

კარზე საქართველოს სასარგებლოდ.¹

როგორც უკვე ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, დაახლოებით XI ს. 50-იანი წლების მინურულიდან საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაში აშკარად შეინიშნება ურთიერთგაგებისა და დაახლოების ტენდენციები. ბიზანტიის ხელისუფალთა თვალში დღითიდღე მატულობდა საქართველოს სახელმწიფოს ავტორიტეტი. 70-იანი წლების დასაწყისიდან, მას მერე რაც იმპერიას სელჩუკების მხრიდან უდიდესი საფრთხე დაემუქრა, საქართველოსთან კავშირის აუცილებლობა სულ უფრო ნათელი შეიქმნა. ასეთ ვითარებაში, კონსტანტინოპოლი ყოველმხრივ ცდილობდა ქართველი მეფეების გულის მოებას. ამის ნათელ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ გიორგი II-სათვის უმაღლესი საკარისკაცო ტიტულის – კესაროსის – მინიჭება.

წყაროებიდან პირდაპირ არ ჩანს, თუ როდის მიიღო აღნიშნული ტიტული გიორგი II-მ. *„მატიანე ქართლისაჲს“* მიხედვით, თითქოს 1071 წელს – ტახტზე ასვლისას გიორგი II ჯერ კიდევ კურაპალატი რჩებოდა: *„შემდგომად ამისა დაჯ-*

¹ ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გრიგოლ ბაკურიანის ძის ეთნიკური წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით. სომეხ მკვლევართა ერთი ნაწილი (ვ. არუთუნოვა-ფიდანიანი, რ. ბარტიკიანი, პ. მურადიანი და სხვები) დაბეჯითებით ცდილობს დაასაბუთოს თავის დროზე მ. მარის მიერ წამოყენებული უდავოდ მცდარი დებულება გრიგოლის იმიერტაოს ქალკედონიტ სომეხთა თემიდან წარმომავლობის თაობაზე (**Н. Я. Марр**. Аркаун, Монгольское название христиан в связи с вопросом об армянах-халкедонитах. СПб, 1905. – Оттиск из „Византийского вестника“, №1-2) ქართველმა მეცნიერებმა, ამ ბოლო ხანს საგულდაგულოდ შეისწავლეს რა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ხელნაწერები და აგრეთვე სხვა მასალები, სავსებით არგუმენტირებულად დაასაბუთეს გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართველობა. ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **აკ. შანიძე**. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში..., გვ. 13-57; 243-273; **Н. Ю. Ломоури**. К истории Петрицонского монастыря..., იქვე იხილეთ პრობლემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა.

და ძე ბაგრატიის გიორგი კურაპალატი მეფედ¹ – წერს მემატინანე, მაგრამ უკვე 1073 წელს დათარიღებულ სიგელში გიორგი II თავის ძე დავითს მოიხსენიებს კურაპალატად.² აქედან გამომდინარე, თვით გიორგი მეფე ამ დროისათვის უფრო მაღალი ტიტულის, თუ კესაროსის არა, სევასტოსის მაინც, მატარებელი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ გიორგი II-ის მიერ მაღალი ტიტულის მიღება ძირითადად 70-80-იან წლებში უნდა მომხდარიყო და ეს შედეგი უნდა იყოს „ქართული პარტიის“ – მარიამ დე(37)დოფლისა და გრიგოლ ბაკურიანის ძის – აქტიურობისა ამ მიმართულებით. სწორედ 70-80-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ „ქართული პარტიის“ განსაკუთრებული აქტიურობის პერიოდად.

ეს, პირველ რიგში, განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ სამეფო ტახტზე იჯდა მარიამ დედოფალი, ჯერ როგორც მიხეილ VII დუკას (1071-1078) თანამეცხედრე, შემდეგ კი იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიატეს (1078-1081 წწ.) მეუღლე. როგორც ცნობილია, ალექსი კომნენოსი მარიამ დედოფლის და გრიგოლ ბაკურიანის ძის აქტიური მხარდაჭერის შედეგად დაეუფლა ტახტს. მართალია, ახალი იმპერატორი, თავისი წინამორბედის მსგავსად, არ დაქორწინებულა მარიამზე, მაგრამ მათ შორის გარკვეული პოლიტიკური გარიგება მოხდა, რომლის მიხედვითაც მარიამის ვაჟი კონსტანტინე დუკა დანიშნულ იქნა ალექსი კომნენოსის ქალიშვილ ანაზე და გაცხადებულ იქნა იმპერატორის თანამმართველად.³ {38}

¹ მატინანე ქართლისა, გვ. 316.

² 1073 წ. სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი. – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. გვ. 46. {37}

³ როგორც ანა კომნენოსის თხზულებიდან ირკვევა, იმ დროს სასახლეში ერთგვარი მითქმა-მოთქმა და ჩურჩული ყოფილა იმის შესახებ, რომ მარიამ დედოფალს ახალი იმპერატორიც შეერთავდა, თუმცა თვით ანას მტკიცებით, ასეთი რამ მას (ალექსი კომნენოსს – ზ.პ.) აზრადაც არ მოსვლია (Анна Комнина. Алексиада. Вступительная статья, перевод, комментарии Я. Н. Любарского. М., 1965,

გვ. 118) თავის დროზე აკად. თ. უსპენსკი არ გამორიცხავდა ალექსი კომნენოსის მარიამზე დაქორწინების შესაძლებლობას და მიუთითებდა, რომ იმ დროს – „была сильна тенденция соединить новую династию с фамилией Дук, в этих видах **предполагалось устроить брак Алексея с царицей Марией**. супругой Михаила VII „Дуки“ (Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 171-172, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ვ. კოპალიანს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ისეთი წინდახედული მოღვაწე, როგორც ალექსი კომნენოსი იყო, ასეთ „გაუმართლებელ საქციელს არ ჩაიდენდა. ჯერ ერთი, – ნერს ვ. კოპალიანი, – კომნენოსებისა და დუკათა სახლების ურთიერთნათესაური შეკავშირება, უკვე განხორციელებული ფაქტი იყო, ალექსის ცოლად ჰყავდა იოანე დუკას, კესარის შვილიშვილი ირინე, მეორეც, ალექსიმ კარგად იცოდა, თუ რაოდენი ზიანი მიაყენა ნიკიფორე ბოტანიატეს მისმა ფუქსავატურმა საქციელმა... როგორც ცნობილია ამისათვის (მარიამის შერთვისათვის – **ზ.პ.**) ის რომის პაპმაც შეაჩვენა და დასავლეთი მტრად გადაჰკიდა“. მკვლევრის აზრით, ალექსი კომნენოსს „კიდევ უფრო დიდ ცოდვად ჩაეთვლებოდა საეკლესიო წესით გაფორმებული დედობილის ცოლად შერთვა“ (ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა., გვ. 299). რასაკვირველია, ძალზე ძნელია არსებულ მასალებზე დაყრდნობით ამ საკითხზე კატეგორიული მსჯელობა. მართალია, ის მოტივები, რომლის გამოც ალექსი კომნენოსი უარს იტყოდა მარიამზე დაქორწინებაზე, უთუოდ ანგარიშგასანევია, მაგრამ მეორე მხრივ, არც სასახლეში დარჩეული ძორების სრული უსაფუძვლობის მტკიცება ჩანს გამართლებული. როგორც ცნობილია, 70-80-იანი წლების მიჯნაზე {38} კონსტანტინოპოლში უაღრესად რთული სიტუაცია შეიქმნა. ხელისუფლებისათვის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. მარიამ დედოფალი, რომელიც თავისი ვაჟისთვის ტახტის შენარჩუნების მიზნით, 1078 წელს დათანხმდა ნიკიფორე ბოტანიატეს ცოლობას, კვლავ მოექცა სასახლეში მიმდინარე მძაფრი პოლიტიკური ინტრიგების ქსელში. ამის მიზეზი იყო ის, რომ იმპერატორმა ნიკიფორე ბოტანიატემ გადაწყვიტა ტახტის მემკვიდრედ მარიამის ვაჟ კონსტანტინე დუკას ნაცვლად სინადინების საგვარეულოს წარმომადგენელი დაეტოვებინა (Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 74; Г. Ф. Герциберг. История Византии. Перевод, примечания и приложения П. Б. Безобразова. М., 1896, გვ. 254; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა., გვ. 293). თავისი მეუღლის ამ გადაწყვეტილებით განაწყენებულმა მარიამმა მას ზურგი აქცია და შეუდგა ზრუნვას

მიუხედავად იმისა, რომ მარიამ დედოფალი 1081 წლის შემდეგ სამეფო ტახტზე არ მჯდარა, ის და „ქართული პარტია“, როგორც ჩანს, ამის შემდეგაც თამაშობდნენ გარკვეულ როლს იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. **{39}** მაგრამ მას მერე, რაც 1086 წელს პაჭანიკებთან შეტაკებაში დაიღუპა გრიგოლ ბაკურიანის ძე, მარიამისა და „ქართული პარტიის“ გავლენა, ეტყობა, ერთგვარად შეირყა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ამ პერიოდში (კ. კეკელიძის აზრით 1088 წელს)¹ მარიამ დედოფალი მონაზვნად აღკვეცილა.²

ბოტანიატეს ტახტიდან ჩამოსაგდებად. თავის მთავარ მოკავშირედ, მხარდამჭერად ამ საქმეში მარიამმა ალექსი კომნენოსი მიიჩნია. დედოფლის ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო. ამ დროისათვის იმპერიის პოლიტიკურ არენაზე ალექსი კომნენოსი ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, მას დასავლეთის დიდი დომესტიკოსის თანამდებობა ეკავა და სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდა საიმპერატორო ტახტზე. მარიამ დედოფლისა და ალექსი კომნენოსის ეს დაახლოება, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ მათ მონინაალმდეგეებს და უნდა ვიფიქროთ, რომ ალექსი-მარიამის დისკრედიტაციის მიზნით, სწორედ მათ გაავრცელეს ჭორი ქართველი დედოფლის შესაძლო ხელახალი დაქორწინების შესახებ, თუმცა, როგორც უკვე ავლნიშნეთ, არც ის უნდა გამოირიცხოს მთლიანად, რომ თავისი პოლიტიკური მიღწევების მისაღწევად ალექსი კომნენოსი ასეთი უკიდურესი ნაბიჯის გადადგომას მაინცდამაინც არ მოერიდებოდა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, მოვლენები ისე განვითარდა, რომ სამეფო ტახტის დასაპყრობად მომავალ იმპერატორს აღარ დასჭირდა მარიამ დედოფალთან თავისი ურთიერთობის ახალი ქორწინებით გამნტკიცება. ამისათვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მათ შორის დადებული ზემოხსენებული გარიგება. ყოველივე ამასში კი, ალბათ. გადამწყვეტი როლი შეასრულა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, რომელიც, როგორც ცნობილია, ახლო ურთიერთობაში იყო ალექსი კომნენოსთან და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის გამეფებას (ამის შესახებ დანვრთილებით იხ.: **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 296-301). **{39}**

¹ **კ. კეკელიძე**. ეტიუდები ქათული ლიტერატურის ისტორიიდან. V. თბ., 1957, გვ. 205; **И. М. Нодия**. Грузинские материалы о византийской императрице..., გვ. 153.

² **იოანე ზონარა**. ისტორია. გეორგიაკა., ტ.VI. გვ. 157. შდრ. **И. М.**

მოგვიანებით, როგორც წყაროთა მონაცემებით ირკვევა, საბოლოოდ ჩამტყდარა ხიდი მარიამ დედოფალსა და ალექსი კომნენოსს შორის.

1094 წელს მარიამს მონაწილეობა მიუღია იმპერატორის წინააღმდეგ მონყობილ შეთქმულებაში. ნიკიფორე დიოგენეს მიერ ორგანიზებული ეს შეთქმულება, როგორც ცნობილია, მარცხით დამთავრდა. ვარაუდობენ, რომ დასჯილთა შორის იყო მარიამ დედოფალიც, რომელიც პინკრიპოს კუნძულზე უნდა გადაესახლებინათ, ხოლო მისმა ძემ კონსტანტინე დუკამ საბოლოოდ დაკარგა საიმპერატორო ტახტის მიღების იმედი.¹ ეს უკვე „ქართული პარტიის“ კრახს წარმოადგენდა და შესაძლებელია, ამან რამდენადმე ზეგავლენა იქონია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობაზეც. ამ თვალსაზრისით, უაღრესად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელმა, სწორედ XI ს. 90-იან წლებში, თქვა უარი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულზე.² {40} ხომ არ უნდა ნიშნავდეს ეს იმას, რომ მამიდამისისა და „ქართული პარტიის“ მიმართ გატარებული რეპრესიები გამოიყენა დავით IV-მ ფორმალურ საბაზად ბიზანტიის იმპერატორის იურიდიული უზენაესობიდან თავის დაღწევისათვის? საფიქრე-

Нодия. Грузинские материалы о византийской императрице..., გვ. 153.

¹ ამის შესახებ დანვრილებით იხ. **И. М. Нодия.** Грузинские материалы о византийской императрице..., გვ. 153-155.

² ბიზანტიური ტიტული („პანიპერსევასტოსის“) დავით აღმაშენებელი მოხსენიებულია 1091 წლით დათარიღებულ დოკუმენტში. იხ.: *ქრონიკები...*, I. გვ. 236; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **შ. მესხია.** ძღვევა საკვირველი. – *საისტორიო ძიებანი*. III, გვ. 50; **ვ. კოპალიანი.** საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან XI–XII საუკუნეთა მიჯნაზე. – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები*. თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 122; **ჯ. სტეფნაძე.** XI–XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. – *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*. ეძღვნება საქართველოს მეწინიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ნ. ბერძენიშვილის** დაბადების 80 წლისთავს. თბ., 1979, გვ. 161. {40}

ბელია, რომ საქართველოს სამეფო კარისათვის არ იქნებოდა უმნიშვნელო, თუ ვინ დაიკავებდა იმპერატორის ტახტს ალექსი კომნენოსის შემდეგ. კონსტანტინე დუკა დავით მეფის სახლიკაცი (მამიდაშვილი) იყო და მისი გამეფება კონსტანტინოპოლში უდავოდ შლიდა ახალ პერსპექტივებს ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის საქმეში. ამდენად, საქართველოს მმართველი წრეები უსათუოდ იქნებოდნენ დაინტერესებულნი კონსტანტინე უფლისწულის პოზიციების გამაგრებით.

მართალია, ჩვენ არ გავაჩნია რაიმე პირდაპირი ცნობა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ „ქართულ პარტიას“ კონსტანტინოპოლში საქართველოს სამეფო კარიდან სათანადო მხარდაჭერა და არა მარტო მორალური და დიპლომატიური, ჰქონდა ამას გვაფიქრებინებს ის, რომ მოგვიანებით (XII ს. 10-იან წლებში) საქართველოს მეფის წარგზავნილები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის ირგვლივ ატეხილ დინესტიურ ჭიდილში. მხედველობაში გვაქვს იაოანე ზონარას ცნობაში დაფიქსირებული ფაქტი იმის შესახებ, რომ პირველნი, ვინც მანგანის სასახლიდან გამოსულ იაოანე კომნენოსს მამისეული ტახტის დაუფლება მიულოცეს, იყვნენ ქართველნი (წყაროს მიხედვით „აბაზგი“) მხედრები.¹ ეს მხედრონი თან ჩამოჰყვა დავით აღმაშენებლის ასულს კატაქს.

ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, სწორედ ამ ხანებში მისთხოვდა ალექსი კომნენოსის ერთ-ერთ ვაჟს ისააკს,²

¹ იოანე ზონარა. ისტორია..., გვ. 157.

² ბოლო დრომდე ეგონათ, რომ დავით აღმაშენებლის ასული კატაქს დანიშნული იყო ალექსი კომნენოსის შვილიშვილ ალექსიზე – ანა კომნენოსის და ნიკიფორე ვრიენოსის ვაჟზე, მაგრამ როგორც ეს გამოარკვევს ქართველმა ისტორიკოსებმა, კატაქს მეუღლე უნდა ყოფილიყო ისააკ კომნენოსი (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან..., გვ. 121; შ. მესხია. ძღვევაი საკვირველი..., გვ. 51-52; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური

რომელიც მხარს უჭერდა იოანეს გამეფებას. მათ წინააღმდეგ მოქმედებდა გარდაცვლილი იმპერატორის ქვრივი ირინე, რომელიც ყოველმხრივ ცდილობა სამეფო ტახტზე თავისი ქალიშვილი ანა და მისი მეუღლე ნიკიფორე ვრიენოსი აეყვანა. ტახტისათვის გამართული ეს ბრძოლა ირინეს გამარჯვებით დამთავრდა. ფიქრობენ, რომ იოანე კომნენოსის წარმატებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართ^{41}ველთა მხედრობამ, რომელიც შესაძლებელია, „საგანგებოდ იყო ჩაყვანილი კონსტანტინოპოლში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი ძალა იოანესა და ისააკის მომხრეებისა“.¹

ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ვ. კოპალიანი, რომ „ალექსი კომნენის მეფობის უკანასკნელ წლებში და ალექსის მემკვიდრის იოანეს მეფობის დროსაც, საქართველოს მთავრობა ბიზანტიის შინაპოლიტიკური ამბებების კურსში იყო და ზოგ შემთხვევაში აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ ამბებში“.² ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულზე უარის თქმა იყო ერთგვარი რეაგირება კონსტანტინოპოლში მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა, რასაკვირველია, ეს მხოლოდ ამით არ იყო განპირობებული, მთავარი და გადამწყვეტი, ამ შემთხვევაში, მაინც იყო საქართველოს მეფის სურვილი გამხდარიყო სულუფლებიანი სუვენერული ხელმწიფე.

ამრიგად, XI ს. 70-80-იანი წლების I ნახევარში მაინც, ყველა პირობა გვაქვს ვივარაუდოთ, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობასა და თანამშრომლობის ტენდენციების არსებობა, ეს კი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გიორგი II-ის მიერ ზოგიერთი ტერიტორიის შემომტკიცება ბიზანტიის ხელისუფლებასთან შეთანხმებულად და ამ უკანასკნე-

ისტორიის მიმოხილვა. თბ., 1990, გვ. 293). **{41}**

¹ შ. მესხია. ძლევაი საკვირველი..., გვ. 52.

² ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა..., გვ. 124-125.

ლის სანქციით მოხდა. ასე რომ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ „კარისა და მისი მიმდგომი ქუეყნის“ საქართველოს მეფისათვის გადაცემის შესახებ რეალურ შინაარსს იძენს და ამის გამო დავითის მემკვიდრის დადანიშნულება ტენდენციურობაში სრულიად უსაფუძვლოა.

სამხრეთის ტერიტორიების შემოერთება უკანასკნელი წარმატება იყო გიორგი II-ის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში. XI ს. 70-იანი წლების მინურულისათვის სელჩუკებმა კიდევ უფრო გაახშირეს საქართველოზე თავდასხმები. ჯერ იყო და სულთან მალიქ-შაჰის მიერ გამოგზავნილ ამირა აჰმადმა მიაყენა ძლიერი დარტყმა საქართველოს მეფეს. მან ჯერ გრიგოლ ბაკურიანის ძის სამფლობელოში – არზრუმი და ოლთისი – დაიპყრო.¹ ხოლო შემდეგ „გიორგი მეფესა ყუელსა გარემდგომსა... უგრძნულად დაესხა და გააქცია“.² სელჩუკებმა უამრავი ნადავლი იგდეს ხელთ: „ხოლო საქურველნი დიდნი – წერს დავითის ისტორიკოსი, – და სამსახურებული სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატიულნი სასმურნი და სამნდგონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავა-**{42}**რად და წარვიდეს“.³

გიორგი II იძულებული გახდა აფხაზეთში გადახვეწილიყო. თურქებმა, ისარგებლეს რა გიორგის არყოფნით („ცნეს მეოტება გიორგისი“), ახალი მარბიელი რაზმები იასისა და ბუჟღუშის მეთაურობით გამოგზავნეს საქართველოში და ისინიც „მოეფინნენ პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი“.⁴ თურქებს ამ დროს თითქმის მთელი საქართვე-

¹ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო., გვ. 309.

² დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 319. **{42}**

³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 319.

⁴ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 319.

ლო დაულაშქრავთ: „ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი. სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანითა მკვდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქეთა ვიდრე მოსვლამდე თოვლისა, მოჭამეს ქვეყანა და მოსწყდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყვეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჭურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქორონიკონი იყო სამასი“.¹

ამრიგად, 1080 წლიდან სრულიად ახალი სიტუაცია შეიქმნა საქართველოში. ქვეყანაში თურქ-სელჩუკები გაბატონდნენ. ამან უაღრესად მძიმე მდგომარეობა შექმნა, „მოოჯრდა ქუეყანა და ტყუედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მვეცნი და ნადირნი ველისანი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჯრებათასა“.² შექმნილ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო აქტიური თავდაცვის ორგანიზება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებას შეუდგა.

როგორც უკვე აღინიშნა, გიორგი II-მ ნახა რა, რომ „არა სადათ იყო, ღონე ჯსნისა და შენევნისა, არცა რა დამჯსნელი ამათ ძვრთა, რომელ მოეცვა პირი ყოველისა ქუეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემციირებულ იყო, და რომელი ქუეყანანი მათ, აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთა ყოველი თურქთა დაეპყრა“, გადაწყვიტა ხლებოდა სულთანს და ეცნო მისი უზანაესობა.³ ისტორიოგრაფიაში სავსებით მართე-

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 319-320.

² დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 320.

³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე და-

ბულად არის შენიშნული, რომ საქართველოში „დიდი თურქობის“ დამყარებისათვის „ყოველგვარი საგარეო პირობები არსებობდა“. ¹ მხედველობაშია მიღებული ამა პერიოდისათვის სელჩუკთა სრული გაბატონება ანატოლიაში, ბიზანტიასა და სომხეთის ტერიტორიებზე თურქული პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა და სხვა. ²

ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფო პრაქტიკულად, **{43}** იზოლირებული აღმოჩნდა ქრისტიანული სამყაროსაგან და მარტოდმარტო მოუხდა ბრძოლა სელჩუკთა შემოსევების წინააღმდეგ. ³ მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, საქართველოს მმართველი წრეები მაინც ცდილობდნენ ემოქმედათ ზოგიერთ მეზობელ მმართველთან შეთანხმებით. ამის ერთგვარ დადასტურებად შეიძლება ჩავთვალოთ სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი II მალიქ-შაჰთან მარტო არ წასულა, არამედ მასთან ერთად იქ ჩასულან ტაშირ-ძორაკეტის მეფე კვირიკე (დაახლ. 1048-1089წწ.) და სომეხთა კათალიკოსი ბარსელი. ⁴ მართალია ამ და მეორე სომეხი ავტორის მხითარ აირივანელის ანალოგიურ ცნობაში ⁵ არაფერია ნათქვამი ქართველ და სომეხ მოღვაწეთა შეთანხმებულ მოქმედებაზე, მაგრამ სომეხ ავტორთა მიერ ისპაჰანში მათი მაინცდამაინც ერთდროული

ვითისი, გვ. 320.

¹ **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 310.

² **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 310. **{43}**

³ **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო..., გვ. 310.

⁴ *Всеобщая история Вардана Великого.* Первод **Н. Эмина.** М., 1864, გვ. 132. ვარდანისაგან განსხვავებით, მხითარ აირივანეცი, გიორგი II-ის ნაცვლად, შეცდომით ასახელებს „ქართველთა მეფე დემეტრეს“: „სომეხთა მეფე კვირიკე, ქართველთა მეფე დემეტრე, და სომეხთა კათალიკოსი უფალი ბარსელი წავიდნენ სულთან მალიქ-შაჰთან; უკან პატივით დაბრუნდნენ“. – **მხითარ აირივანეცი.** ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო **ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა.** თბ., 1990, გვ. 77.

⁵ **მხითარ აირივანეცი.** ქრონოგრაფიული ისტორია. გვ. 77.

ნასვლის დაფიქსირება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამ ბოლო დროს, არის ცდა გიორგი II-ის ვიზიტი ისპაჰანში მიჩნეულ იქნას სამეფო კარის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად შექმნილ სიტუაციაში. ჩვენ, პრინციპულად, არაფერი გვაქვს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო, თუმცა, ვფიქრობთ, გიორგი II-ის ამ ნაბიჯის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის რეალური შედეგიც, რაც ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა. სამწუხაროდ, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აშკარად ვერ გაამართლა ის იმედები, რასაც ამყარებდნენ გიორგი II-ის ვიზიტზე. თავდაპირველად, თითქოს, ყველაფერი კარგად მიდიოდა: სულთანმა შეინყნარა გიორგი II *„ვითარცა შვილი საყუარელი“*... და *„ყოველი სათხოველი აღუსრულა, უმეტესცა სასოებისა, და სამეფო მისი განათავისუფლა ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისსა, რომელსა იაღებდეს მრავალთა და ესრე განდიდებითა და მრავლითა დიდებითა გამოგ ზავნა თვსად სამეფოდ წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშკდობისა და რათა აართვან კახეთი“*.¹

როგორც ვხედავთ, მოლაპარაკება **{44}** მალიქ-შაჰთან საკმაოდ წარმატებით დასრულებულია.² საქართველოს მეფემ

¹ **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 321. **{44}**

² ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი იმის შესახებ, თუ როდის შედგა გიორგი II-ის ეს ვიზიტი. ერთი ქართული წყაროს მიხედვით *„გიორგი მეფე სულტანს... წინაშე“* წასულა 1083 წელს (*ქრონიკები*., I. გვ. 229). მხითარ აირივანეცის ქრონოლოგიურ ჩანაწერებში კი ეს ფაქტი დაფიქსირებულია 1081 წლის ქვეშ (**მხითარ აირივანეცი.** ქრონოგრაფიული ისტორია., გვ. 77). ეტყობა, სომეხი ისტორიკოსის ამ ცნობაზე დაყრდნობით აკად. ს. ჯანაშია მიიჩნევდა, რომ „თურქთა განუწყვეტელმა შემოსევებმა აიძულა გიორგი II წასულიყო სულტანთან (1080-1081 წწ.) და ეყიდა ზავი და მშვიდობა ყოველწლიური ხარჯით“ (**ს. ჯანაშია.** საქართველოს ისტორია. უძვე-

არათუ მიიღო სელჩუკთა თარემის შეწყვეტის გარანტია, არამედ, მას (მართალია, სულტან მალიქ-შაჰის დროშის ქვეშ) საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების შემდგომი განმტკიცების (კახეთის შემოერთების შედეგად) შანსიც კი მიეცა. მაგრამ ეს კარგად დაწყებული საქმე, დავითის ისტორიკოსის მტკიცებით, გიორგი II-ს ერთი არაგონივრული მოქმედებით გაუფუჭებია. ვეჯინის ციხისთვის ბრძოლის დროს მას თითქოს „მოეწსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჯინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვია, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირის კუხეთი, რომელი მოოჭრდა მუნ დღეინდელად დღემდე. ხოლო თვთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად“.¹

უმთავრესად დავითის ისტორიკოსის მიერ მოტანილი ამ ფაქტის საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავდა ნეგატიური აზრი გიორგი II-ზე, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეზე. მაგალითად, აკად. ივ. ჯავახიშვილი მეფის ამ ნაბიჯს „უგუნურ საქციელად“ მიიჩნევდა.² პირველი მკვლევარი, რომელმაც მოინდომა გიორგი II-ის მიერ ვეჯინის ციხი-

ლესი დროიდან XII ს-მდე. – *შრომები*. ტ. II. თბ., 1952, გვ. 425.) ქართულ ისტორიოგრაფიაში, ძირითადად მაინც, ვიზიტის თარიღად მიღებულია 1083 წელი (იხ. **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან., გვ. 205), თუმცა არის აზრი, რომ ეს ვიზიტი შედგა 1081-1082 წლებში (**რ. მეტრეველი**. დავით აღმაშენებელი., გვ. 64).

¹ **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი**. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 322.

² **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წ. II., გვ. 362. უნდა ითქვას, რომ გიორგი II-ის პიროვნების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ძირითადად სწორედ ივ. ჯავახიშვილიდან მოდის. მას გიორგი II მიაჩნდა „მეტად რბილი და სუსტი ხასიათის კაცად“, რომელსაც „ჰკლებია ის სიღინჯე და საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ბატონისთვის აუცილებლად არის საჭირო... ვერც თავგასულს დიდგვარიან აზნაურებს უწევდა ღირსეულ წინააღმდეგობას, ვერც გათამამებულ გარეშე მტერს იგერიებდა“ – **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია. წ. II., გვ. 159. {45}

სათვის ალყის მოხსნა პოლიტიკური მიზნებით აეხსნა და ამით გიორგი მეფის პიროვნების ერთგვა{45}რი რეაბილიტაცია მოეხდინა, იყო ნ. შენგელია. მისი აზრით, გიორგი II-მ შეგნებულად თქვა უარი კახეთის შემომტკიცებაზე, რადგან „მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კახეთის ციხე-სიმაგრეები სელჩუკთა მიერ დაკავების შემდეგ, მან ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ იმაში პოვა, რომ გაცლოდა მათ და კახეთის აოხრებაში მონაწილეობა არ მიეღო“.¹

ნ. შენგელიას შეხედულებას ამ საკითხზე მთლიანად იზიარებს რ. მეტრეველიც, რომელსაც სრულიად დაუჯერებლად მიაჩნია დავითის ისტორიკოსის ვერსია ვეჯინის ალყის მოხსნისა და „აფხაზეთში გადასვლის“ შესახებ.² „რაოდენ დიდია სურვილი ისტორიკოსის მიერ გიორგი II-ის პიროვნების დამცრობისა – აღნიშნავს რ. მეტრეველი, – რომ სახელმწიფო ცხოვრების ისეთი რთული და სერიოზული საკითხის გადაჭრის გადადება, როგორც ვეჯინის ალება და კახეთის შემოერთება იყო, ნადირობის მიზეზით აქვს ახსნილი“.³ ვეჯინის ციხისათვის ალყის მოხსნას გიორგი II-ის მხრიდან თურქეთის მიმართ გაკეთებულ ერთგვარ საბოტაჟად მიიჩნევს შ. ბადრიძე.⁴ მ. ლორთქიფანიძის აზრითაც, გიორგი II-მ შეგნებულად თქვა უარი სელჩუკთა ძალებით კახეთ-ჰერეთის ალებაზე.⁵

¹ ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 316-317.

² რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი..., გვ. 70; ამის შესახებ დანვრ. იხ.: რ. მეტრეველი. გიორგი II-ის მოღვაწეობის..., გვ. 29-60.

³ რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი..., გვ. 70; აღსანიშნავია, რომ ვეჯინის ციხის ალყის მოხსნას რ. მეტრეველი დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გამწვავებით ხსნის, მაგრამ არ უთითებს იმას, თუ რა აქვს მხედველობაში. – რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი..., გვ. 65.

⁴ შ. ბადრიძე. კეთილად შესახვედრი წიგნი (რეცენზია რ. მეტრეველის წიგნზე „ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიიდან“). – *ცისკარი*. 9, 1972, გვ. 110.

⁵ მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო

ყველა ზემოთჩამოთვლილი მეცნიერისათვის საკითხის ამგვარი დაყენებისას ერთადერთ „რეალურ“ არგუმენტს, პრაქტიკულად წარმოადგენს აზრი დავითის ისტორიკოსის ტენდენციური დამოკიდებულების შესახებ გიორგი II-ის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს არგუმენტი, მაინცდამაინც, ასე უკრიტიკოდ მისაღებად ვერ ჩაითვლება და დავითის ისტორიკოსის გამოცხადება გიორგი II-ის მძაგებლად, ჩვენი აზრით, არცთუ ისე სამართლიანია, მაინც არ გამოვრიცხავთ, რომ გიორგი II-ის მიერ ვეჯინის ციხის მიტოვება მართლაც შეგნებულად, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით მოხდა. ამ შემთხვევაში შეიძლება, საერთოდ, აჯამეთში ნადირობა გიორგი II-მ უბრალოდ მოიმიზეზა კიდეც, ხოლო დავითის ისტორიკოსმა, რომელიც უკმაყოფილო იყო იმ შედეგებით, რაც ვეჯინის ციხის ალყის {46} მოხსნას მოჰყვა, სხვაგვარი ახსნა მოუძებნა მეფის ამ ნაბიჯს. ასე იყო თუ ისე, ერთი რამ უდავოა, დავით მეფის „ცხოვრების“ ავტორი არ იწონებს გიორგი II-ის მიერ კახეთის მიტოვებას. უფრო მეტიც, აღნიშნული ფაქტის დავითის ისტორიკოსისეული შეფასება და კიდეც ზოგიერთი სხვა მასალა, ვფიქრობთ იმაზე მეტყველებს, რომ ის, ამ ეტაპზე, რამდენადმე ოპტიმისტურად უყურებდა სელჩუკებისა და საქართველოს თანამშრომლობას და, აქედან გამომდინარე, სრულებითაც არ მიაჩნდა სათაკილოდ სელჩუკების დახმარებით კახეთ-ჰერეთის პრობლემის გადაჭრა.

როგორც ვიცით, დავითის ისტორიკოსი იმთავითვე იწონებდა გიორგი II-ის გადაწყვეტილებას ხლებოდა მალიქ-შაჰს და მიაჩნდა ეს ქვეყნის ხსნის ერთადერთ საშუალებად. მას ასევე სრულიად აკმაყოფილებდა სულთანთან გამართული მოლაპარაკების შედეგები, ხოლო თვით მალიქ-შაჰი მიაჩნდა უაღრესად დადებით პიროვნებად, რომელმაც გამოიჩინა დიდსულოვნება საქართველოს მეფის მიმართ და კარგად

მოექცა მას: „შენყნარებულ იქნა მისგან ვითარცა შვილი საყუარელი. რამეთუ იყო კაცი იგი მალიქ-შაჰი ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, ეგრეთვე სახითა სიტკობებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხვნი საცნაურებანი, მართლმსაჯულობანი, მონყალებანი, ქრისტიანეთა სიყუარულნი, და რათა არ განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოვლით კერძო აქუნდა. ამისთვისცა ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტესცა სასოებისა“¹

ქართველი ისტორიკოსის მიერ მალიქ-შაჰ სულთნის ამგვარი დახასიათება, რასაკვირველია, არ უნდა იყოს შემთხვევითი, მაგრამ ეს არ უნდა იხსნას მხოლოდ იმით, რომ მალიქ-შაჰი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით მის მიერ გატარებული ფართო მასშტაბის რეფორმების (სამხედრო, საკალენდრო, სასამართლო და სხვ.) გამო, როგორც ამას ფიქრობდა ვ. გაბაშვილი.² უეჭველია, რომ ისტორიკოსის მიერ მალიქ-შაჰის შექება, მართლაც გარკვეული პოლიტიკური კონცეფციის გამოხატულება იყო, მაგრამ არა მხოლოდ იმისა, რომ მალიქ-შაჰმა აღნიშნული რეფორმების წყალობით ალაგმა ცენტრიდანული ძალები, რაც მიმზიდველი იყო სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მოსურნე ქართველი მე-**{47}**მატიანესათვის.³

ჩვენი აზრით „ქებათა ქება“ თურქთა სულთნის უფრო საგარეო პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. რო-

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 321. (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.)

² ვ. გაბაშვილი. აღმოსავლეთი XI-XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე. – XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 293; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი..., გვ. 65.

³ ვ. გაბაშვილი. აღმოსავლეთი XI-XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, გვ. 293; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი..., გვ. 65. **{47}**

გორც ჩანს, იმ მძიმე ვითარებაში, რომელიც შეიქმნა საქართველოში XI ს. 80-იანი წლების დამდეგიდან, ქვეყნის მმართველი წრეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კრიზისიდან გამოსვლა შეიძლებოდა მხოლოდ მალიქ-შაჰთან მორიგებისა და მისი გულის მოგების გზით. დავითის ისტორიკოსი ამ პოლიტიკური კურსის მომხრე ჩანს („არა სადაც იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა..“), ამიტომაც ის ასე რომ იწონებს გიორგი II-ის ვიზიტს ისპაჰანში და იქ მიღწეულ შეთანხმებას. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ დავითის ისტორიკოსი საერთოდ წინააღმდეგი იყო სელჩუკთა მიმართ აქტიური, შემტევი პოლიტიკის გატარებისა.

პირიქით, მემატიაანის მთელი შემდგომი მონათხრობი მთლიანად ამ პოლიტიკის პროპაგანდას ემსახურება, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ღრმა რწმენით, XI ს. 80-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო შესაფერისი მომენტი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ აქტიური პოლიტიკის დაწყებისათვის. სწორედ ამიტომაც, რომ მას გაუმართლებლად მიაჩნდა გიორგი II-ის ეს ნაბიჯი. თუმცა კატეგორიული დასკვნის გაკეთება სარისკოა, მაგრამ აშკარაა, რომ გიორგი მეფის ამ მოქმედებაში მართლაც ძალზედ გაჭირდება თანმიმდევრულობის დანახვა. გიორგი II ან საერთოდ არ უნდა წასულიყო სულთანთან, ან არადა, მერე არ უნდა გადაეხვია ალბუღული კურსისაკენ. იმით, რომ მან თითქოს შეგნებულად არ მიიღო მონაწილეობა კახეთის დალაშქერაში,¹ არც საკუთრივ ერთიან ქართულ

¹ მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ „სულთანთან მისულ გიორგი მეფეს არავითარი საშუალება არ ჰქონდა, უარი ეთქვა მის წყალობაზე და არ წამოეყვანა თან სელჩუკთა ლაშქარი „ნაჩუქარი“ კახეთისა და ჰერეთის დაპყრობის მიზნით, მაგრამ ამასთანავე, გიორგის უნდა სცოდნოდა, თუ რა მოჰყვებოდა შედეგად სელჩუკთა მიერ კახეთისა და ჰერეთის ალებას. ამიტომ ერთადერთი რაც მას შეეძლო გაეკეთებინა, თვითონ მაინც არ მიეღო მონაწილეობა ამ ქართული კუთხეების ალებაში და თავისი ლაშქრით არ შეეწყო ხელი სელჩუკებისათვის, ალბათ ამიტომ გაეცალა მათ და დასავლეთ საქართველოში გადავიდა“. – მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს

სახელმწიფოს დასტყობია რაიმე სასიკეთო და კახეთ-ჰერეთის შემოერთების საკითხიც კარგა ხნით გადაიდო. როგორც ცნობილია, აღსართან კახთა მეფე ეახლა სულთანს, „დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონით აიღო სულთანისაგან კახეთი“.¹

ერთი {48} სიტყვით, გიორგი II-ის ვიზიტმა ისპაჰანში ვერაფრით გააუმჯობესა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. მალიქ-შაჰმა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოს „რანთა“ და „კახთა“ სამეფოც მიაყოლა და ამით მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაზე სრული პოლიტიკური დიქტატი დაამყარა. მთელი ამ რეგიონის საერთო მმართველობა კი თავის ბიძაშვილს ყოთბ ედ-დინ ისმაილს ჩააბარა.²

ყოველივე ამან, როგორც ჩანს, ძლიერ დაძაბა სიტუაცია საქართველოში. „ამათ ესევეითარცა ჟამთა არავე დამშვდნა ქუეყანა, არც რა იქმნა ლხინება კაცთა...“³ საჭირო შეიქმნა პოლიტიკური კურსის ძირეულად შეცვლა. გიორგი II-ის პოლიტიკით უკმაყოფილება თანდათან სულ უფრო იზრდებოდა. მან თავის აპოგეას მიაღწია 1088-1089 წლების მიჯნაზე,⁴ როდესაც საქართველოში საშინელი მიწისძვრა მომხდარა, რომელიც გაგრძელებულა „ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ“.⁵ სტიქიურმა უბედურებამ წერტილი დაუსვა გიორგი II-ის მეფობას და ის იძულებული გახდა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, პოლიტიკური ასპარეზობიდან წასულიყო და ტახტი თავისი

შინა-პოლიტიკური.., გვ. 208.

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება.., გვ. 322. {48}

² ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო.., გვ. 317.

³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 322.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ნ. II, გვ. 163.

⁵ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, გვ. 323. {49}

თექვსმეტი წლის ვაჟისთვის დაეთმო.

ამრიგად, XI ს. 70-80-იან წლებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. მართალია, საქართველოს სამეფომ ამ დროისათვის, პრაქტიკულად, გაინთავისუფლა თავი ბიზანტიის უზენაესობისაგან და მის თანასწორუფლებიან პარტნიორად იქცა, მაგრამ ამას ვერ მოჰყვა ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო არენაზე. ამჯერად საქართველოს სახელმწიფოს ეს გზა თურქ-სელჩუკებმა გადაუკეტეს. „დიდი თურქობის“ დამყარებამ საქართველო გადააქცია სელჩუკთა სულთნისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად. ამ დროიდან საქართველოს მესვეურთა მთავარ ამოცანას თურქ-სელჩუკთა ბატონობის უღლიდან გამოსვლა წარმოადგენდა. ამიერიდან, საგარეო-პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებაც სწორედ ამ ამოცანის შესრულებას დაუკავშირდა, რაც საბოლოოდ განხორციელებულ იქნა კიდევ XII ს. I მეოთხედში დავით აღმაშენებლის მიერ. {49}

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. თურქ-სელჩუკთა შემოსევები და საქართველოს
სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა
XI ს. 60-იან წლებში 5

თავი II. თურქ-სელჩუკთა გაბატონება მახლობელ
აღმოსავლეთში და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური
მდგომარეობის გაუარესება 70–80-იან წლებში 37

ЗУРАБ ВАЛЕРЬЯНОВИЧ ПАПАСКИРИ

**СРЕДНЕВЕКОВАЯ ГРУЗИЯ
НА МЕЖДУНАРОДНОЙ АРЕНЕ**

*Внешнеполитическое положение Грузии
в 60-80-х годах XI века*

На грузинском языке

«*Мецниереба*»
Тбилиси 1991

ნარმოდგენილი წიგნის ვრცელი რუსული რეზიუმე იხ.: **З. В. Папаскири**. От Давида до Давида. *Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, გვ. 85-109. – <https://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian>.

დაიბეჭდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს
გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით
(ბრძ. 143;08.0471988. წიგნის ავტორის ხარჯზე
გამომცემის შესახებ).

გამომცემლობის რედაქტორი: **ლ. ჯვებენავა**
ტექრედაქტორი: **ნ. ბოკერია**

გადაეცა წარმოებას 29.01.91.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.01.91.
ქალაქის ზომა 60X84¹
ქალაქი №2 ; ბეჭდვა ოფსეტური
პირობითი საბეჭდი თაბახი 3,25 ; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 3.03
ტირაჟი 500.
შეკვეთა 167.

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060,
კუტუზოვის ქ. 19.

Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი,
380060, კუტუზოვის ქ. 19.

Типография АН Грузии, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19